

**ცხმ ადამიანი
აღზრდად
სადგობადად 2012**

**SITUATION OF
LGBT PERSONS
IN GEORGIA 2012**

პუბლიკაცია მომზადდა „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის „მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციის CM/Rec(2010)5 მონიტორინგი წევრი სახელმწიფოებისთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ — საქართველო“ ფარგლებში, ილგა—ევროპისა და პაინრიხ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ასახავს იმ სამართლებრივ და სოციალ-კულტურულ გარემოს, რომელშიც ცხოვრობენ ლგბტ ჯგუფის წევრები საქართველოში. პუბლიკაციის მეორე ნაწილი ეთმობა ლგბტ დისკრიმინაციის კვლევის შედეგებს, რომელიც 2012 წელს ჩატარდა და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თუ რამდენად ფართოდაა გავრცელებული დისკრიმინაცია ლგბტ ჯგუფის მიმართ სხვადასხვა სფეროში, რა ფორმის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას აქვს ადგილი და რა სიხშირით, იციან თუ არა ოჯახის წევრებმა მათი ორიენტაციის შესახებ, როგორ აფასებენ თავად ჯგუფის წევრები საზოგადოების დამოკიდებულებას მათ მიმართ და სხვ.

WISG მადლობას უხდის ყველა იმ რესპოდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.



The present publication has been prepared by Women's Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of project: Monitoring of the Implementation of the Council of Europe Recommendation CM/Rec(2010)5 to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity – Georgia, supported by ILGA-Europe and Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office.

The publication consists of two parts. Part one reflects the legal and socio-cultural environment in which LGBT people live in Georgia. Part two of the publication is dedicated to the results of LGBT discrimination survey, conducted in 2012, and provides us with the opportunity to evaluate how widespread is discrimination against LGBT people in different spheres, what forms of physical and psychological violence take place and how often, whether or not the family members know about their sexual orientation, how do the group members themselves evaluate the attitudes of the society towards them.

WISG would like to express gratitude to all the respondents who participated in the study.

ლგბტ დისკრიმინაციის კვლევაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდით ორგანიზაცია „იდენტობას“, რომელმაც უზრუნველყო გვი და ბისექსუალი მამაკაცების ინტერვიუება. ასევე მადლობას უხდით ირაკლი ვაჭარაძეს, რომელმაც მოამზადა სტატია კვლევის შედეგების შესახებ.



We would like to express our gratitude to organization Identoba, which provided interviews with gay and bisexual men, for all the help and collaboration in regards to the LGBT discrimination survey. We would also like to thank Irakli Vacharadze who prepared an article about the results of the above mentioned survey.

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამოცემის ნარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიაში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

**ღმსწრე ადამიანთა
პროექტი
საქართველო**

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“
თბილისი, 2012

შინაარსი

ნაწილი პირველი

- 3** დისკრიმინაციის აკრძალვა ლგბტ პირებთან მიმართებით:
ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა
სოფიო ჯაფარიძე
- 8** ჰომოფობიური სიძულვილის ენა და პოლიტიკური პროცესები
საქართველოში
ეკა აღდგომელაშვილი
- 15** ჰომოფობია: სოციო-კულტურული გარემო საქართველოში
თამთა მელაშვილი

ნაწილი მეორე

- 19** ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში
ნათია გვიანიშვილი
- 26** ლგბ დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში
ირაკლი ვაჭარაძე
- 95** ტერმინოლოგია

ნაწილი პირველი

დისკრიმინაციის აკრძალვა ლგბტ პირებთან მიმართებით: ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა

სოფიო ჯაფარიძე

მოცემული სტატიის ფარგლებში ავტორი მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობას დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით, თუმცა სტატიის მიზნის გათვალისწინებით, მთავარი ყურადღება ლგბტ პირთა დისკრიმინაციის აკრძალვას დაეთმობა და ძირითადად პრობლემური საკანონმდებლო დებულებების ანალიზი მოხდება. ■

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ არსებობს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. ანტიდისკრიმინაციული დებულებები სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებშია გაფანტული.

ქვეყნის უზენაესი კანონი, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს რა კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს, კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით¹, მათ შორის სქესის საფუძველზე.² აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ამკრძა-

ლავი ნორმებისგან³ განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ არის ღია დაბოლოების მქონე დებულება (open ended provision) და იგი პირდაპირ არ კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილების⁴ გათვალისწინებით, აღნიშნული ვერ დააბრკოლებს სხვა საფუძველით პირის დისკრიმინაციისგან დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოცემული საფუძველების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ისეთ საფუძველებსაც, რომლებიც მასში პირდაპირ არ არის ნახსენები. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის საქმეზე ეროვნულ სასამართლოებს დღემდე არ უმსჯელიათ, ძნელია რაიმე შეფასების გაკეთება პრაქტიკასთან დაკავშირებით.

3 იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ECHR) მე-14 მუხლი და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი; იხ. ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-2 მუხლი და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICESCR) მე-2 მუხლი.

4 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. 31.03.2008

1 იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი.

2 იხ. *Toonen v Australia* (ტუნენი ავსტრალიის წინააღმდეგ), UNHRC, CCPR/ C/50/D/488/1992, UN Human Rights Committee (HRC), 4.04.94, para. 8.7. მოცემულ საქმეში, კომიტეტმა განმარტა, რომ სიტყვა სქესი გულისხმობს სექსუალურ ორიენტაციასაც.

კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის დარღვევა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა.⁵ მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ იკრძალება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის დარღვევა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებისა და სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 2012 წლის 27 მარტის დამატების⁶ თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სახეზე ქონის შემთხვევაში პასუხისმგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულისთვისაც დადგება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდეც, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით გარკვეული დანაშაულების ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად განიხილებოდა⁷, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის ბოლოდროინდელი დამატების თანახმად, სხვა საფუძვლებთან ერთად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელი გარემოება გახდა სსკ-ით ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის.

აღნიშნული ცვლილების განხორციელება ცალსახად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა მთავარი ის არის თუ რამდენად ეფექტურად მოხდება ამ საკანონმდებლო ნოვაციის პრაქტიკული იმპლემენტაცია. სამწუხაროდ, აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე დასკვნების გაკეთება შეუძლებელია, რადგან არ მოიპოვება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, მოხდა თუ არა დღემდე

მოცემული მუხლის გამოყენება.⁸ დამამძიმებელი დასკვნების გაკეთების საშუალებას არც ზემოხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული პრაქტიკა (უფრო სწორედ პრაქტიკის არარსებობა) იძლევა. ამ მხრივ აღსანიშნავია აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ⁹, რომელიც პოლიციელთა ჰომოფობიური ქცევის შესახებ საქართველოდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (შემდეგში ევროპული სასამართლო) გაგზავნილი პირველი საქმეა.¹⁰ განმცხადებლები, სხვა დარღვევებთან ერთად მათი რეალური თუ ნავარაუდები სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციულ მოპყრობაზეც ჩივიან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ადამიანის უფლებათა დამცავი ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, გამოძიება სავარაუდოდ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც საქმე ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა, ისიც მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით.¹¹ მოცემული იმაზე მეტყველებს, რომ სსკ 142-ე მუხლი (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) პრაქტიკულად მკვდარი მუხლი იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე უთანასწორო მოპყრობას ეხებოდა.

დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში შესაძლებელია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სათანადო რეაგირება, დამნაშავის სისხლის

5 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი.

6 იხ. ს.ს.კ. 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი. დამატების მიხედვით, დანაშაულის ჩადენა, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეროვნული, ეთნიკური კუთვნილების, ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

7 იხ. მაგ. 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და სხვა).

8 აღსანიშნავია, რომ ააიპ „იდენტობა“-მ 2012 წლის 17 მაისს მსოფლიო ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (IDAHO) განვითარებული მოვლენების გამო გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოუწოდა ამ უკანასკნელს გამოძიების დაწყების შემთხვევაში გაეთვალისწინებინა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი. ორგანიზაციის პასუხი განცხადებაზე დღემდე არ მიუღია. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის 2012 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენების შესახებ იხილეთ: http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1303%3A2012-05-18-12-34-17&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

9 იხ. *Aghdgomelashvili and Japaridze v Georgia* (აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ), no 7224/11.

10 საქმის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: <http://www.interights.org/aghdomelashvili/index.html>

11 იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი.

სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის ჩათვლით (რა თქმა უნდა თუ იარსებებს ნება), თუმცა ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო შეზღუდული მასშტაბით, ძირითადად მაუწყებელთა თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდება.¹² აღნიშნულს ის განაპირობებს, რომ სიძულვილის ენა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად დანაშაულებრივ ქმედებას, რაც არ გამოორიცხავს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც ძირითადად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოში ჰომოსექსუალობა 2000 წლიდან არის დეკრიმინალიზებული, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის რიგი მუხლები კვლავაც ისეა ფორმულირებული, რომ ჰომოსექსუალობის მარგინალიზაციას და სტიგმატიზაციას ახდენს.¹³

საქართველოს კანონმდებლობაში მოიძებნება დებულებები, რომლებიც აწესებენ მოთხოვნებს/პირობებს, რომლებიც ერთი შეხედვით ნეიტრალურია, თუმცა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ ჯგუფებზე. (ე.წ ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევა)¹⁴

მაგალითად პატიმრობის ახალი კოდექსის თანახმად, ხანმოკლე პაემნის უფლება ეძლევა იმ პირსაც, ვინც პატიმართან ქორწინებაში არ იმყოფებოდა, თუმცა ამ უკანასკნელთან ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვე-

დრამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ერთი შეხედვით ხანმოკლე პაემნის მარეგულირებელი ნორმა ნეიტრალურია, მან რეალურად არაპროპორციულად საზიანო შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ლგბტ წყვილებისათვის. რა თქმა უნდა მოცემული ნორმის მოქმედება უარყოფითად შეიძლება აისახოს რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფ ჰეტეროსექსუალ წყვილებზეც, რადგან ბუნდოვანია რომელი დოკუმენტი შეიძლება ჩაითვალოს თანაცხოვრების დამადასტურებლად და რომელმა ორგანომ უნდა გასცეს იგი, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული ზოგადი ჰომოფობიური განწყობის გათვალისწინებით ასეთი დოკუმენტის მოპოვება ლგბტ წყვილებს უფრო გაუჭირდებათ. რაც შეეხება ხანგრძლივი პაემნის უფლებას, შესაბამისი მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, აღნიშნული უფლებით ლგბტ წყვილები საერთოდ არ სარგებლობენ.¹⁶

ირიბი დისკრიმინაციის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ხარვეზი საქართველოს კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დიპლომი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთხელ. აღნიშნული უარყოფითად აისახება იმ პირებზე, ვინც ქირურგიული ჩარევის შედეგად სქესი შეიცვალა, რაც დასაქმების სურვილის შემთხვევაში მათ კიდევ უფრო მეტად აქცევს დისკრიმინაციის პოტენციურ მსხვერპლად. აღნიშნულით ასევე უხეშად ირღვევა ლგბტ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაც, რადგან იმის დასამტკიცებლად, რომ სქესშეცვლილი პირი ნამდვილად დიპლომში მოხსენიებული პირია, მან სათანადო უწყებას დიპლომთან ერთად სასამართლოს მიერ გაცემული ცნობაც უნდა წარუდგინოს.¹⁷

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა საქართველოში სქესის შეცვლის სერვისები

12 იხ. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონი, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

13 იხ. მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 140-ე მუხლები, რომლებიც თავიანთი ფორმულირებიდან გამომდინარე ჰომოსექსუალურ სქესობრივ კავშირს „გაუკუღმართებულ სექსუალურ კონტაქტთან“ აიგივებენ.

14 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად: „როდესაც ზოგად პოლიტიკას ან ზომას კოკრეტული ჯგუფისათვის არაპროპორციულად საზიანო შედეგი მოაქვს, შესაძლოა აღნიშნული დისკრიმინაციად ჩაითვალოს, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული პოლიტიკა თუ ზომა არ იყო მიმართული ან გათვლილი იმ კოკრეტულ ჯგუფზე“

15 იხ. პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი.

16 იხ. პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-2 ნაწილი.

17 იხ. დამოუკიდებელი მკვლევარის ანა ნაცვლიშვილის კვლევა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციაზე, ჰომოფობიასა და ტრანსფობიაზე, 2010 წ. გვ. 22, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.coe.int/t/commissioner/source/igbt/georgialegal_e.pdf

ხელმისაწვდომია, უშუალოდ პროცესი საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებელია, რაც დისკრიმინაციული პრაქტიკის დამკვიდრების საფრთხეს ქმნის. რაც მეტად ბუნდოვანია კანონი, მით უფრო მეტი სივრცე რჩება თვითნებობისა და შერჩევითობისათვის.¹⁸

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი იმ გამონაკლის ნორმატიულ აქტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.¹⁹ თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა მხოლოდ შრომით ურთიერთობებზე ვრცელდება, რომელიც სათანადო პირის სამსახურში აყვანის (ხელშეკრულების დადების) შემდეგ იწყება, ადვილი შესაძლებელია ნებისმიერი პირი დისკრიმინაციის მსხვერპლი სწორედ სამსახურში აყვანის პროცესში გახდეს.²⁰ აღნიშნული განსაკუთრებით რელევანტურია ლგბტ პირებთან მიმართებით, რომელთა დასაქმებაზე უარის თქმის რეალური მიზეზი უმეტეს შემთხვევაში მათი სექსუალური ორიენტაცია/გენდერული იდენტობაა (ფარული დისკრიმინაციის შემთხვევა).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ორი პირის მიერ შვილის აყვანა მხოლოდ მეუღლეების შემთხვევაში არის შესაძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ მეუღლეები მხოლოდ საპირისპირო სქესის მქონე პირები შეიძლება იყვნენ²¹, ლგბტ წყვილები ავტომატურად გამოირიცხებიან ერთობლივად შვილის აყვანის უფლების მქონე პირთა კატეგორიიდან. რაც შეეხება ერთი პირის მიერ შვილის აყვანას, ერთი შეხედვით, სამოქალაქო კოდექსის

1245-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, არ არსებობს შეზღუდვა სრულწლოვანი ლგბტ პირისათვის იყოს მშვილებელი²², თუმცა ქვეყანაში დამკვიდრებული ჰომოფობიური განწყობის გათვალისწინებით, არსებობს იმის საფრთხე, რომ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ ლგბტ პირს „მორალური თვისებების“ გამო მშობლის ფუნქციის განხორციელება არ ანდოს.²³ მეორე მხრივ, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა და ევროპული კონვენციის ხელმომწერია, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მარტოხელა მშობლისთვის შვილის აყვანაზე უარის თქმა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ამკარა შეუსრულებლობა იქნება.²⁴

აღსანიშნავია, რომ თუკი განსხვავებული მოპყრობა გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმზეა დამყარებული, იგი არ წარმოადგენს აკრძალულ დისკრიმინაციას. ევროპული სამართლის პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ განსხვავებულ მოპყრობას გამართლება მოეძებნოს: ა) უნდა არსებობდეს დიფერენცირების არსებითი საფუძველი, ბ) განსხვავება უნდა ემსახუროდეს კანონიერ მიზანს და გ) გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს.²⁵ როცა განსხვავებას საფუძველად სექსუალური ორიენტაცია უდევს, განსაკუთრებით სერიოზული დასაბუთება უნდა არსებობდეს²⁶, ამ შემთხვევაში სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დისკრეცია/შეფასების ფარგლები (margin of appreciation) არის ვიწრო და პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს, რომ მიღებული ზომა მოცემულ

18 ტერმინი “კანონი” ხარისხობრივ მოთხოვნებსაც გულისხმობს, მათ შორის კანონის ხელმისაწვდომობასა და წინასწარგანჭვრეტადობას. იხ. *L. v. Lithuania* (ლ. ლიტვის წინააღმდეგ), no 27527/03, judgment of 11 September 2007.

19 იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი. თუმცა, მოცემულ დებულებაში გენდერული იდენტობა როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი ნახსენები არ არის.

20 იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.“ შრომითი ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, იხ ასევე 38-ე მუხლი.

21 იხ. სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.

22 იხ. სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლი, რომელიც მშვილებლობას მხოლოდ იმ პირს უკრძალავს ვისაც მშობლის უფლება-მოვალეობები ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს, ასევე იმ პირს რომელსაც ავადმყოფობის ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები.

23 იხ. სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლი

24 იხ. *E.B. v. France* (ი. ბი. საფრანგეთის წინააღმდეგ), no. 43546/02, judgment of 22.01.2008.

25 იხ. *Timishev v. Russia* (ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ), no. 55762/00 and 55974/00, judgment of 13.12.2005, § 57. იხ. *Rasmussen v. Denmark* (რასმუსენი დანიის წინააღმდეგ), no. 8777/79, judgment of 28.11.01.1984, § 38.

26 იხ. *Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*, no. 33290/96, judgment of 21.12.1999, § 36.

გარემოებებში აუცილებელი იყო.²⁷

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით²⁸ „ჰომოსექსუალობისთვის“, როგორც აივ/შიდსის რისკ-ჯგუფისათვის დაწესებული ბლანკეტური აკრძალვა სისხლის დონორობასთან დაკავშირებით ყოველად გაუმართლებელია, რადგან აკრძალვა ეფუძნება მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციას და არა (სარისკო) სექსუალურ ქცევას.²⁹

მისასაღმებელია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ანტიდისკრიმინაციული დებულება³⁰, რომელიც სხვა საფუძვლებთან ერთად კრძალავს პაციენტის დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო, თუმცა შემაშვოთებელია ამავე კანონში შესატანი ცვლილება,³¹ რომლის მიხედვითაც სუროგაციის სერვისით სარგებლობის უფლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ უშვილო წყვილს შეეძლება. აღნიშნული, თავის მხრივ, ცალსახად გამორცხავს ლესბი ან გეი წყვილის სუროგაციის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას.

2012 წლის 25 მაისის ცვლილებებამდე კანონის თვითნებურად და უთანასწორად გამოყენების საკმაოდ დიდ საფრთხეს ქმნიდა ასევე

27 იხ. *Kozak v. Poland* (კოზაკი პოლონეთის წინააღმდეგ), no. 13102/02, judgment of 02.03.2010.

28 იხ. 2000 წლის 5 დეკემბრის ბრძანება № 241/ნ. „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ“, იხ. ასევე 2007 წლის 27 სექტემბრის ბრძანება „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ“.

29 აღნიშნულთან დაკავშირებით, 2012 წლის 10 ივლისს, ორგანიზაცია „იდენტობამ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სხვა მუხლებთან ერთად დისკრიმინაციული ხასიათის გამო, გასაჩივრებული ნორმები, კონსტიტუციის მე-14 მუხლს ეწინააღმდეგება. მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: ჰტპ://წმწ.არგუმენტი.გე/?პ=1588

30 იხ. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

31 იხ. საქართველოს კანონი, „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, პროექტი, რეგისტრაციის # 07-3/639; 08.06.2012;

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ,³² რომელიც საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების³³ (მათ შორის პირის სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის) დამუშავებას³⁴ ითვალისწინებს. ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი იყო დებულება, რომელიც კანონის შესაბამისად „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის“ დასაცავად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას პირის თანხმობის გარეშე ითვალისწინებდა.³⁵ „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის“ დეფინიციის არარსებობის პირობებში, მოცემული დებულება ქმნიდა სივრცეს თვითნებობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.³⁶ შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის 2012 წლის 25 მაისის ცვლილებები და დამატებები ხელისუფლების მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია დისკრიმინაციის პრევენციისათვის.

კანონმდებლობის ზემოთ მოცემულმა ანალიზმა ცხადყო, რომ თუმცა გამონაკლისი შემთხვევების გარდა კანონმდებლობა ლგბტ პირებთან მიმართებით აშკარად დისკრიმინაციული არ არის, ზოგ შემთხვევაში სათანადო ნორმათა ბუნდოვანი ფორმულირების გამო და ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ საკითხის საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა დატოვებით, გაუმართლებელი განსხვავებული მოპყრობისთვის კვლავ დიდი სივრცე არსებობს. აღნიშნულს ემატება ქართულ საზოგადოებაში ლგბტ პირებთან მიმართებით არსებული უარყოფითი წინასწარგანწყობები, რაც საბოლოო ჯამში თავს დისკრიმინაციულ პრაქტიკაში იჩენს.

32 2011 წლის 28 დეკემბერი.

33 იხ. იქვე მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი.

34 იხ. იქვე „დ“ პუნქტი.

35 იხ. იქვე, მე-6 მუხლი. (2012 წლის 25 მაისის ცვლილებებამდე მდგომარეობით).

36 იხ. საქართველოში ლგბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისთვის. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG), თბილისი, 2012. გვ.8. http://women.ge/wp-content/uploads/2012/05/WISG-LBT-CEDAW-shadow-report_geo.pdf

ჰომოფობიური სიძულვილის ენა და პოლიტიკური პროცესები საქართველოში

ეკა აღდგომელაშვილი

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, როგორც წესი, აძლიერებს ხოლმე საზოგადოებაში არსებულ ფობიებს. არსებული ქსენოფობიური დამოკიდებულება ეთნიკური, რელიგიური უმცირესობებისა თუ ჰომოსექსუალების მიმართ ნოყიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის. წინასაარჩევნო ტექნოლოგიები პოტენციურ ამომრჩეველთა მოლოდინების გარდა სოციალური ფობიების შესწავლა-გაანალიზებასაც გულისხმობს. ძნელი სათქმელია, რამდენად სრულყოფილად ფლობენ ან იყენებენ ამ ტექნოლოგიებს საქართველოში. თუმცა, 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში ნათლად დაგვაჩვენა თუ როგორი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს კომპრომატს, რომელიც საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ შიშსა და სიძულვილს ეხება. ციხეში პატიმრების დამცირების, ცემის, სექსუალური ნამების ამსახველი დოკუმენტური კადრების დემონსტრირებამ ტელევიზიით, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე, უამრავი ადამიანი გამოიყვანა ქუჩაში. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (თავისთავად ძალადობა პატიმრებზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფზე, თანაც სამართალდამცავების მხრიდან), იმ ადამიანების ნაწილში, რომელიც საპროტესტო ტალღას შეუერთდა, მა-

მაკაცზე სექსუალური ძალადობის ფაქტს ერთგვარი კულტურული შოკის ეფექტი ჰქონდა, რაც აისახა კიდევ სოციალურ ქსელებსა თუ პროტესტის გამობატვის სხვა ფორმებში. ■

ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევის თითქმის 20-წლიანი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ გარკვეულ დინამიკაზე და მის კავშირზე ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებთან.

ლგბტ საკითხით პრესის დაინტერესება არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების პიკი ემთხვევა ქვეყანაში მიმდინარე ძალაუფლების გადანაწილების პროცესებს. ამასთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებიან ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების ძირითადი ადრესანტები. შესაბამისად, იცვლება კონტექსტიც, რომელშიც ჰომოსექსუალობაც განიხილება და მისი მობილიზაციური სტრატეგიებიც, რითიც ხდება ჰომოსექსუალობის პრობლემატიზაცია.

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ლგბტ ჯგუფის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების სიღრმისეული კვლევა. ცალკეული კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებებთან/საკითხებთან და ჯგუფებთან

მიმართებას და განწყობათა ცვლილების დინამიკას სწავლობს (მათ შორის ჰომოსექსუალთა მიმართ), არ იძლევა ჰომოფობიის სიღრმის ან ფორმებზე საუბრის საშუალებას. თუმცა, ამ კვლევების უმეტესობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში ლგბტ ადამიანები დღემდე რჩებიან ჯგუფად, რომლის მიმართაც საზოგადოება ყველაზე ნაკლებ მიმღობას ამჟღავნებს სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებთან შედარებით.³⁷

გარდა ამისა, 2003-2006 წლებში ჩატარებული კვლევები მიუთითებს ჰომოფობიური განწყობის ზრდის დინამიკაზეც: 2003 წელს „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ჰომოსექსუალობის მიმართ გამოკითხულთა – 84%-მა ნეგატიური განწყობა დააფიქსირა, 14%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა, 2%-ს კი პოზიტიური.³⁸ 2006 წლის გამოკითხვის შედეგებით, რესპოდენტთა 81,4% აცხადებდა, რომ არ იმეგობრებს ჰომოსექსუალებთან, ხოლო 71,4%-ს არ სურდა ჰომოსექსუალთან ერთად მუშაობა³⁹. CRRC-ს მიერ 2009-2011 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა ჰომოსექსუალობასთან მიმართებაში დიდად არ შეცვლილა და იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ჰომოსექსუალობას მიუღებლად მიიჩნევს, უცვლელი რჩება – 90%.⁴⁰

საზოგადოებაში ლგბტ ჯგუფის მიმართ ნეგატიური განწყობის ზრდაზე თავად ჯგუფის წევრებიც საუბრობენ. 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლიდა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის მიმართ არატოლერანტულია, 2006 წელთან შედარებით 57%-დან–78%-მდე გაიზარდა⁴¹.

ევროსაბჭოს ნევრ ქვეყნებში ლგბტ თემის/ჯგუფის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ნათლად ჩანს როგორც საერთო ევროპულ⁴², ისე ნაციონალურ კვლევებში. ეს განსხვავებულობა ორ მნიშვნელოვან ასპექტს ეფუძნება. პირველი ასპექტი უკავშირდება ეროვნულ, რელიგიურ და ტრადიციულ ფასეულობებს გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის საკითხებთან მიმართებაში, ხოლო მეორე ასპექტი – საჯარო და პრивატული სფეროს განსხვავებულ აღქმას და შესაბამისად, ლგბტ ჯგუფის ხილვადობას⁴³.

გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის საკითხებთან მიმართებაში, საქართველო შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ღრმად პატრიარქალური კულტურის მქონე ქვეყანა, მასკულიზმისა და ფემინიზმის კონცეფციების

1 პასუხად კითხვაზე, „რამდენად სასურველად მიგანიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების თქვენს მეზობლად ყოფნა“, ძალზე არასასურველად რესპოდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა ჰომოსექსუალები, შემდეგ კი ნარკომანები და ფსიქიკურად არამდგრადი ადამიანები შეაფასა.“ ნ. სუმბაძე. თაობები და ღირებულებები. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2012.; ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის კვლევამ უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების შესახებ აჩვენა, რომ სხვა უმცირესობათა ჯგუფებს შორის, ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ სწორედ ლგბტ ჯგუფის ადამიანები არიან. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის კვლევა უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების შესახებ, ივნისი, 2011.

2 Sumbadze N., Tarkhan-Mouravi G., Transition to adulthood in Georgia: Dynamics of generational and gender roles in post-totalitarian society, Institute of Policy Studies. Tbilisi. 2003.

3 Caucasus Research Resource Center, Programme of Eurasia Foundation: Short Review of the Results of CRRC's Data Initiative Survey – December 2006

4 ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. 2011.

5 2006 წელს ფონდ ინკლუზივის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა 57,5% საზოგადოების დამოკიდებულებას აფასებდა, როგორც არატოლერანტულს, 24,2% თვლიდა, რომ საზოგადოება ინდიფერენტულია მათ მიმართ, 10% მიიჩნევდა, რომ საზოგადოება ტოლერანტული იყო (ლგბტ დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში. ფონდი ინკლუზივი. 2006.). 2012 წელს, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისა“ და ორგანიზაცია „იდეტობის“ ერთობლივმა კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლის, რომ საზოგადოება მათ მიმართ არატოლერანტულია 78%-მდე გაიზარდა. გამოკითხულთა 15% დამოკიდებულებას აფასებს, როგორც „უფრო არატოლერანტული, ვიდრე ტოლერანტული“, 4% – „უფრო ტოლერანტული, ვიდრე არატოლერანტული“, კითხვას არ უპასუხა გამოკითხულთა 3%-მა, ხოლო იმ ადამიანების რიცხვი, ვინც საზოგადოების დამოკიდებულებას აფასებს, როგორც ტოლერანტულს, 1%-ზე ნაკლებია. ლგბტ დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012

6 იხ. Eurobarometer 296 (2008), chapter 9; Eurobarometer 66 (2006), pp. 43-46; Eurobarometer 263 (2007); Eurobarometer 317 (2009); European Values Study (1999)

7 Discrimination on grounds of sexual orientation and gender identity in Europe. 2nd edition. Council of Europe. 2011. http://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/LGBTStudy2011_en.pdf

ჩათვლით⁴⁴. როგორც ბოლო წლების მედია ანალიზი აჩვენებს, საკითხის პრობლემატიზაცია სწორედ „ქართველობა/მართლმადიდებლობა/ტრადიციების“ კონცეპტის ფარგლებში ხდება.

რაც შეეხება საჯარო სივრცეში ლგბტ ჯგუფის ხილვადობას, საჯარო სივრცეში ლგბტ ადამიანების გამოჩენა ავტომატურად აღიქმება, როგორც „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“. საჯარო სივრცის პურიფიკაცია ლგბტ ადამიანებისაგან დღემდე რჩება ერთ-ერთ მთავარ მობილიზაციურ სტრატეგიად, რომელსაც აქტიურად მიმართავენ როგორც რელიგიური ორგანიზაციების⁴⁵, ისე ცალკეული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები⁴⁶.

მედიაში ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შეფასების თვალსაზრისით ბოლო 20-წლიანი პერიოდი შეგვიძლია რამდენიმე პერიოდად დავყოთ.

ჰომოსექსუალობაზე საჯარო საუბარი ქართულენოვან მედია სივრცეში მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. საბჭოთა პერიოდში არათუ „განსხვავებულ“ სექსუალურ ქცევაზე/იდენტობაზე, არამედ კულტურის მიერ დამკვირვებულ სექსუალობაზე საუბარიც კი მკაცრად იყო რეგლამენტირებული და მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა. საბჭოთა რეჟიმის მიერ შექმნილი მითი ჰომოსექსუალო-

ბის დასავლური წარმომოშობის შესახებ, სხვა საბჭოურ მითებთან ერთად, ინერციით საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და სექსუალობაზე ტაბუს მოხსნის შემდეგაც, 90-იანი წლების ქართულენოვან პრესაში ჰომოსექსუალობა სწორედ ამ კონტექსტში განიხილებოდა. ტერმინი ჰომოსექსუალი პირველად შიდსისა და პროსტიტუციის თემასთან დაკავშირებით გამოჩნდა ქართულ პრესაში. მომდევნო წლებში, 1998 წლამდე, სტატიების უმეტესობაში სიტყვა „ჰომოსექსუალი“ მხოლოდ საზღვარგარეთ მოღვაწე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა შესახებ უცხოური პრესიდან გადმობეჭდილ მასალებში გვხვდება. ამგვარი მეთოდი „განსხვავებული“ სექსუალობისაგან დისტანცირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნულ ინფორმაციებში ძირითადად ნეიტრალური განწყობა ან მსუბუქი ირონიაა. ამგვარი განწყობის ჩამოყალიბებას სწორედ საკითხის დისტანცირება უწყობს ხელს – „სადაც დასავლეთში“ მცხოვრებ ადამიანებზე და ჰომოსექსუალობაზე აბსტრაქტული მსჯელობანი საფრთხეს არ უქმნის რესპოდენტთა სექსუალური იდენტურობის განცდას.

1998 წლიდან ნელ-ნელა იწყება ჰომოსექსუალის/ჰომოსექსუალობის, როგორც „უცხო“ ტრანსფორმაცია „ავადმყოფ“ „ჩვენად“. ჰომოსექსუალობის „პათოლოგიზაციის“ პროცესმა, რომელიც მედიაში მოგვიანებით ჯერ „სოციალურ დევიაციად“, შემდეგ კი „ცოდვად“ გადაიქცა, რომელიც „საფრთხეს უქმნის ეროვნულ თვითმყოფადობასა და ტრადიციებს“, კიდევ უფრო გაამყარა საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობები.⁴⁷ ამავე პერიოდის დან იწყება თემის პოლიტიზაციაც.

ჰომოფობიის პირველი პიკი მედიაში 1998-2003 წლებში შეინიშნება და მოქალაქეთა კავშირში განხეთქილების პარალელურად უფრო და უფრო ძლიერდება. ქართულ პოლიტიკაში ლიბერალური დისკუსის შემოტანასთან ერთად, ჰომოსექსუალობის თემას პოლიტიკური დატვირთვა ეძლევა. ძლიერდება აგრესია იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ, მედია გაჯერებულია არმენოფობიური გამ-

8 Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity. Sociological Report: Georgia. COWI. 2011.

9 „რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია ასეთი ადამიანების ეკრანზე გამოჩენა. ისე გამოჰყავთ ეს ადამიანები, რომ საცოდავები არიან და ჩვენ მათ მიმართ სიბრალოლე უნდა გავიჩინდეს. არავითარ შემთხვევაში! კი არ უნდა წავახალისოთ და ტაში დაფურათ მათ ქმედებებს, საზოგადოება იმაზე უნდა მსჯელობდეს, თუ როგორ ბედავს ასეთი ადამიანი, რომ თავისი მახინჯი სექსუალური ორიენტაცია საზოგადოების დასახანი გახადოს და ამ ქმედებას რეკლამა გაუქეთოს.“ „მამა მიქაელი: „ბარის“ მონაწილეები და ავტორები საშინლად დასჯებიან“. ავტორი რუსუდან ადვაძე. ჟურნალი „სარკე“. 24-30 ოქტომბერი, 2007 წ.

10 იხ. მაგალითად „ქრისტიან-დემოკრატთა“ ლიდერის გამოსვლა (22 მაისის გამოსვლა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით) <http://www.youtube.com/watch?v=0yflbSWF-K8&feature=plcp> ან „თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო კლიპი, სადაც წინასაარჩევნო დაპირებას „ავტომატურად ჰომოსექსუალობისა და სექსუალური ავტიზმის პროპაგანდას“ ფონად 17 მაისს, აიდაპოსადმი მიძღვნილი მსჯელობის კადრები ადევს ფონად. <http://www.youtube.com/watch?v=L9HZljoglc>

11 ე. აღდგომელაშვილი. ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ქართულენოვან მედიაში. 2006. ჰტტპ://წომენ.გე/წა-ცონტენტ/უპლოადს/2011/04/მედია-ანალიზის-ჰომოპობია-უნ.პდგ

ონათქვამებით. სექსუალური ორიენტაცია, აღმსარებლობასა და ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად, პოლიტიკური ოპონენტის „დისკრედიტირების“ ყველაზე გავრცელებული მეთოდი ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით მაშინდელი საპარლამენტო ფსევდოოპოზიცია ფრაქცია „აღორძინება“ გამოირჩევა. ლიდერის კვალდაკვალ⁴⁸, ფრაქციის წევრებიც ლიად აკეთებენ ფაშისტურ განცხადებებს:

„მე, სიმართლე გითხრა, გულის სიღრმეში შეიძლება დიდი სიამოვნებით დავეთანხმო ადოლფ გიტლერს, რომელმაც რამდენიმე გემი გაგზავნა ზღვაში და ჩაძირა, სადაც გარკვეული ადამიანები იყვნენ თავმოყრილნი. ამავე დროს ვერ გავიზიარებ იმას, რომ პარლამენტში მოგვდის ევროსაბჭოდან რეკომენდაციები, რომ ყველანაირად ხელი შევუწყოთ ჰომოსექსუალისტებს. და ეს იყო რამდენიმეჯერ გამოგზავნილი. მე ვთვლი, რომ საკანონმდებლო ბაზა უნდა იქნას მიღებული, რომლითაც ამ ადამიანებს ჩაუტარდებათ ისულებითი მკურნალობა და თუ არ განიკურნებიან, მაშინ...“⁴⁹.

პარალელურად იქმნება მითი „ცისფერთა შეთქმულების შესახებ“, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავენ. კვლავ აქტიუალურია საბჭოთა მითი ჰომოსექსუალობის დასავლური „წარმომავლობის“ შესახებ. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ჰომოსექსუალობის კონცეპტის ხელოვნური „მიბმა“ დასავლურ, ლიბერალურ ღირებულებებთან და იმ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფთან, რომელიც სწორედ ამ ფასეულობებზე აპელირებდა ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში. ჰომოსექსუალობის წარმოჩენამ, როგორც საფრთხისა, რომელიც „გადაგვარებით ემუქრება ქართველ ერს“ და „ენინაალმდეგება ქართულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობას“, პოლიტიკური კონტექსტი შეიძინა.

„არატრადიციული სექსი“ ხომ ყოველგვარი ტრადიციულის რღვევის საწყისი და აუცილებელი პირობაა, ხელისუფლებაში ამგვარ „არატრადიციონალისტთა“ მოსვლით კი ქვეყ-

ნის ეროვნული ცნობიერებისა და თვითმოყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცებას ესმება ჯერჯერობით შეუმჩნეველი ნერტილი...“⁵⁰

პრესაში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება სტატიები მყვირალა სათაურებით: „საქართველოს ჰომოსექსუალისტები მართავენ“, „მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერები“ არ მრავლდებიან, ისინი საკმაოდ მომრავლდნენ“, „ცისფერიდან – შავამდე... პოლიტიკური პალიტრა“, „მეტაკუნე ევროპელი ვაჟკაცები“, „ხალხის მტრები, სუკის აგენტები და... პედერასტები“.

2005-2006 წლების მედია ანალიზმა აჩვენა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პანიკა „ცისფერთა შეთქმულების“ შესახებ ჩაცხრა. სტატიებმა ჰომოსექსუალების/ჰომოსექსუალობის შესახებ სერიოზული გამოცემების პირველი გვერდებიდან ნელ-ნელა „ყვითელი პრესის“ ფურცლებზე გადაინაცვლა.⁵¹ თემის დეპოლიტიზაციის კვალდაკვალ მედიის დაინტერესება ლგბტ საკითხებით საგრძობლად შეიცვალა, რაც აისახა არა მხოლოდ სტატიების ტონზე, არამედ რაოდენობაზეც.⁵²

შეფასების თვალსაზრისით, 2006 წლის მონიტორინგის მიხედვით, მასალების 65% ნეგატიურ შინაარსს ატარებდა, 35% – ნეიტრალურს. თანაფარდობა ნეგატიურ, ნეიტრალურ და პოზიტიურ შეფასებებს შორის მკვეთრად შეიცვალა 2007 წელს (ნეგატიური – 86%, პოზიტიური – 21%, ნეიტრალური – 4%). ნეიტრალურ შეფასებათა პროცენტული მაჩვენებლის კლების ხარჯზე მკვეთრად ნეგატიური/პოზიტიური ხასიათის შეფასებათა მატება, ერთი მხრივ, შეი-

14 ი. გორელიშვილი. „დღევანდელი საქართველო მავნე აირით გაბერილი ბუშტია, რომელიც ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის სახიფათოდ ფარფატებს“. გაზეთი „მერიდიანი“. №44/2. 17.01.2001.

15 ე. ალდგომელაშვილი. „სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში“ (ნოემბერი, 2011). მედიის განვითარების ფონდი. <http://www.mdfgeorgia.ge/index.php?menuid=16&lang=1&id=78>

16 „მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ მიერ 2004-2006 წლებში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მრავალფეროვნების გაშუქების საკითხს სწავლობდა, აჩვენა, რომ სხვა ჯგუფებთან შედარებით, სექსუალური უმცირესობის საკითხები ყველაზე ნაკლებად შუქდებოდა სამივე ქვეყნის მედიის მიერ. Media Diversity Institute, Press Coverage of Minority Groups in the South Caucasus, 2004-06;

12 „კამბოჯა წითელმა კმერებმა წაღვეეს, საქართველო კი – ცისფერებმა“. აფხაზეთის ხმა. №29. 20-26 ივლისი, 2001 წ. „ასლან აბაშიძე უკანასკნელი ძალით უტევს თბილისს ფვანასთავის გამზადებული სავარძლის მოსახსნელად“.

13 სანდრო ბრეგაძე. ტვ. „მზე“, 2003 წ. 4 ივლისი.

ძლება უკავშირდებოდეს ლგბტ ჯგუფის ხილვადობის გაზრდას. მეორე მხრივ კი ასახავს იმ პოლიტიკურ და სოციო-კულტურული მოვლენების დასაწყისსაც, რომელიც დღეს ქვეყანაში ხდება. შეფასებათა ამგვარი გადანაწილება ერთგვარად აირეკლავს კრიზისული პერიოდისათვის დამახასიათებელ ფასეულობათა და ღირებულებათა პოლარიზაციის პროცესს⁵³.

მორალური პანიკის მეორე ტალღა მედიაში 2007 წელს შეინიშნება, როდესაც გაზეთმა „ალიამ“ გაავრცელა ინფორმაცია თბილისში „დაგეგმილი“ გეი-პრაიდის ჩატარების თაობაზე. რეალურად საქმე ეხებოდა ევროპის საბჭოს მიერ დაგეგმილ აქციას „ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“, რომელშიც მონაწილეობას ლგბტ ორგანიზაცია ფონდი „ინკლუზივიც“ იღებდა. მედიის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის გამო, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს აქცია გეი-პრაიდის მოწყობის მცდელობად აღიქვა. უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის განმავლობაში „ალიამ“ რამდენჯერმე გამოაქვეყნა იმავე შინაარსის სტატია, თუმცა, სასურველ მიზანს (აჟიოტაჟის შექმნას თემის გარშემო) მხოლოდ მაშინ მიაღწია, როდესაც ჟურნალისტმა არაპირდაპირი გზით ქვეყნის ხელისუფლება „დაადანაშაულა“ მითითური ალღუმის მხარდაჭერაში:

„არაოფიციალური ინფორმაციით, სააკაშვილის მთავრობასთან შეთანხმებით, თბილისში გრანდიოზული გეი-პრაიდი ჩატარდება.. ისე, თბილისში პუტინს დასცინოდნენ, როცა მოსკოვში გეების თავყრილობა დაარბია – სექსუალური უმცირესობის უფლებებს არღვევსო.. ვნახოთ, გახდება თუ არა თავად სააკაშვილი დაცინვის საგანი“⁵⁴

გაზეთის მიერ აგორებულმა ისტერიამ ნელ-ნელა სხვა ფორმა მიიღო. თემით სუბკულტურულ უკვე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა და ცალკეულმა რელიგიურმა ჯგუფებმა დაიწყეს⁵⁵.

17 ე.ადგომელაშვილი. ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ქართულენოვან მედიაში. 2006. პტტა://ნომენ.გე/ნ-ცონტენტ/უბოლადს/2011/04/მედია-ანალიზის-ჰომოპობია-უნ.პდგ

18 ი.მამალაძე. „პედერასტები თბილისში პრაიდისთვის ემზადებიან“. გაზეთი „ალია“. № 82, 17-18 ივლისი, 2007 წ.

19 „მჯერა, რომ ეს იდეა კანცელარიიდან მოდის. ჰომოსექსუალების ალღუმი არსებული რეჟიმის მიერაა დაგეგმი-

2007 წლიდან, გამოგონილი გეი-პარადებით საზოგადოების „დაშინება“, ხელისუფლების „დადანაშაულება/გაფრთხილება“ და ანტიგეი მსვლელობების მოწყობა ერთგვარ ტრადიციად იქცა. ხელისუფლებას, რომელსაც თავის მხრივ, ლიბერალური დისკურსის მონოპოლიაზე ჰქონდა პრეტენზია, მყარად დაუკავშირდა „ანტი-ეროვნული, ანტიმართლმადიდებლური“ პოზიციის მქონე პოლიტიკური ძალის იმიჯი, რაშიც დიდი როლი ითამაშა ჰომოფობიურმა განწყობებმა საზოგადოებაში.

„მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში სააკაშვილის ფსევდოლიბერალი და ფსევდოდე-მოკრატი ხელისუფლება მოვიდა, ჩვენში ერთობ მომრავლდნენ, მომძლავრდნენ და გათამამდნენ ბუჩქებში შემძვრალი პედერასტები. ეგრეთ წოდებული ცისფერები, რომლებმაც ერთი პერიოდი თბილისში ჰომოსექსუალების ალღუმის გამართვაც კი მოინდომეს...“⁵⁶

თუკი 1999-2003 წლებში, ჰომოსექსუალობის „პრობლემა“ ქცევას მეტ-ნაკლებად რაციონალური არგუმენტებით ცდილობდნენ (მაგ. არსებული ჰომოფობიური მოსაზრებების გასამყარებლად მედია მისთვის სასურველ ექსპერტებსა და სპეციალისტებს მიმართავდა). 2007-2011 წლებში „განსხვავებული“ სექსუალობის პრობლემატიზაციისათვის საკმარისად მიიჩნეოდა „შეუთავსებლობა/წინააღმდეგობა ქართულ და მართლმადიდებლურ ტრადიციებთან“⁵⁷. დისკურსის ამგვარი ცვლა

ლი, ვინაიდან მათ ასეც სურთ, მსოფლიოსა და ევროსაბჭოს მოაჩვენონ, საქართველოში დემოკრატია ვითარდება და ადამიანის უფლებები დაცულიაო, სანაცვლოდ კი იქიდან გრანტები მიიღონ.“ მ. ხორგუაშვილი. „ფერადოვანი ალღუმი თბილისში? ეს იდეა კანცელარიიდან მოდისო“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №140. 21.07.2007.; „ეს არის პრეზიდენტი სააკაშვილის მოწყობილი აქცია, რადგან მის რეჟიმში არის ბევრი გაურკვეველი სქესისა და ორიენტაციის ადამიანი და ამგვარი „პრაიდის“ ჩატარებას პრეზიდენტთან ერთად ისინიც ლობივებენ...“. გაზეთი „ალია“. №83(2056). 19-20.07.2007.

20 ჯ. ხუბუა. „მიშას ომსტერდამი“. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2009 წლის 3-9 აგვისტო, № 31 (776).

21 2010 წელს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ლგბტ უფლებებთან დაკავშირებული რეზოლუციის განხილვის წინ, სხვადასხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა საქართველოში ერთობლივი განცხადება გაავრცელეს: „იგეგმება „სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისა და სქესის იდენტიფიკაციის“ კანონპროექტის განხილვა, რომელიც ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და სხვა სექსუალური გადაზრების

უშუალო კავშირშია ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, გავლენის ზრდასა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მის აქტიურ ჩარევასთან⁵⁸.

დისკურსზე გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კულტურაც: საბჭოთა კავშირის ავტორიტარული რეჟიმის საკმაოდ ცალსახა და გამოკვეთილი დამოკიდებულება განსხვავებულობისადმი ყველაფრის უნიფიცირების მცდელობაში გამოიხატებოდა. განსხვავებულობა აღიქმებოდა არა როგორც მრავალფეროვნების გამოხატულება, არამედ როგორც სახელმწიფოს მონოლითურობის, საზოგადოების ჰომოგენურობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე. სამწუხაროდ, ამგვარი დისკურსი დღესაც აქტიურია ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, რაც „უცხო“ რეალური შინაარსის არტიკულაციისათვის საკმაოდ მწირ შესაძლებლობას იძლევა. ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი საკმაოდ ცალსახა და გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების

მიმართ, როგორც საზოგადოების ერთიანობის, მონოლითურობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხისადმი, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. წინასაარჩევნო პროცესში სწორედ უმრავლესობის სახელით ლაპარაკი და „უცხო“, „განსხვავებული“ მტრის ხატად ქცევა წარმოადგენს პოლიტიკური ჯგუფების მთავარ სტრატეგიას.

წინა არჩევნებზე ხელისუფლებისათვის ამგვარი „მტრის“ როლს ტერიტორიული „უცხო“, რუსეთი ასრულებდა, რომელიც ემუქრებოდა ქვეყნის მთლიანობას, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ უსაფრთხოებას. შესაბამისად, პოლიტიკური ოპონენტების მარკირება „მოლაღატეებად“ და „რუსეთის აგენტებად“ ამავე დისკურსში ხდებოდა.

თავის მხრივ, ოპოზიციური ძალები ხელისუფლებისაგან ნეგატიური ხატის შექმნით ცდილობდნენ ელექტორატის მობილიზაციას. ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ კონტრდისკურსული პროპაგანდა „ქართველობა-მართლმადიდებლობა-ტრადიციების“ გარშემო ტრიალებს. პოლიტიკური ოპონენტის/ოპონენტების მარკირება ჰომოსექსუალად, დადანაშაულება ჰომოსექსუალობის პროპაგანდაში ამ შემთხვევაში გამოიყენება ერთი მხრივ, როგორც გამაძლიერებელი ეფექტი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან „უცხო“ კონსტრუირების პროცესში და მეორე მხრივ – „უცხოთაგან“ მომავალი საფრთხის გენერალიზებისათვის, რომელიც მთელ ქვეყანას ემუქრება⁵⁹.

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით თემით დაინტერესება განუხრელად იზრდება, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის ახალი ტალღის პარალელურად, 2008-2011 წლებში შეფასების დინამიკა თითქმის არ შეცვლილა (პოზიტიური მერყეობს 6%-დან 8%-მდე, ნეიტრალური – 16%-დან 22%-მდე; ნეგატიური კი – 60%-დან 70%-მდე). მასალების თვისობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამის მიზეზი ისევ თემის პოლიტიზაციაში უნდა ვეძებოთ: ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული

ლეგალიზებას გულისხმობს. ამავე სესიაზე გამოტანილი იქნება დოკუმენტი, რომელიც აბორტს წარმოგვიდგენს, როგორც ქალის უფლებასა და ოჯახის დაგეგმვის საშუალებას... შეუძლებელია, ევროპა, რომელიც უძველესი ქრისტიანული სამყაროს ნაწილს წარმოადგენს და რომლის კულტურაც მთლიანად რელიგიური ნიშნით არის განმსჭვალული, ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნლიდან ხმას აძლევდეს ისეთი მოვლენის ჩვეულებრივ ნორმად ქცევას, როგორც არის სექსუალური გადახრები. ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი და სხვა მსგავსი ქმედებანი არა მარტო ქრისტიანობაში, არამედ ყველა ტრადიციულ რელიგიაში უდიდეს ცოდვად არის მიჩნეული, რადგან იგი ადამიანის გადაგვარებას, მის სულიერ და ფიზიკურ დაავადებებს იწვევს“. საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოში წმიდა საყდრის სადესპანოს, საქართველოში სომეხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქია, ქვეყანაში მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებლის და სრულიად კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ერთობლივი განცხადება. 29 იანვარი, 2010

22 მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები ადრესანტთა ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ, დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სისხშირის თვალსაზრისით სწორედ ისინი ლიდერობენ. მათი მობილიზაციური სტრატეგიები ძირითადად საჯარო სივრცის „ცოდვისაგან განწმენდისკენ“ არის მიმართული. ამგვარი სტრატეგიის საბოლოო ბენეფიტი სიმბოლური ძალაუფლების მოპოვებაა, რათა გაზარდონ საკუთარი გავლენის სფერო ე. ალდგომელამეილი. „იდეოლოგიური ჰომოფობია“. ჟურნალი „სოლიდარობა“. 2009 №3(30). http://tolerantoba.ge/tolerantoba_jurnali/30.pdf

23 ე. ალდგომელამეილი. სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში (მაისი, 2011). მედიის განვითარების ფონდი. ჰტტპ://www.მდგეორგია.გე/ინფო.პპპ?მენუიდ=16&ლანგ=1&იდ=54

საკითხებით მანიპულაცია და მისი გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების მარკირებისათვის წინასაარჩევნო პერიოდში ისევე აქტუალური იყო, როგორც 1999-2003 წლებში⁶⁰.

2012 წელს, აიდაპოს დღისადმი მიძღვნილი მსვლელობა რელიგიურმა ჯგუფებმა ჩაშალეს, რასაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. ამ-ჯერად განცხადებები პარლამენტის ტრიბუნა-დანაც გაკეთდა. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა, რომელმაც პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი წარუდ-გინა, აქცია შეაფასა როგორც „ძალიან შორს გა-მიზნული და მნიშვნელოვანი მოვლენის დასაწყისი, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს საქა-რთველოში ჰომოსექსუალობის, მამათმავლობის, გარყვნილობის, გახრწნილობის, გაუკუღმართე-ბული ცხოვრების წესის მორალური და სამარ-თლებრივი ლეგალიზაცია“. საპარლამენტო უმ-რავლესობის წევრებმა პირველად დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია ჰომოფობიური სიძულვილის ენის მიმართ: „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ შემოთავაზებული წინადადება ანტიკონსტი-ტუციურად, თავად პარტიის ლიდერის გამოს-ვლა კი ჰომოფობიურად შეაფასეს.⁶¹

დღეს პარლამენტში უმრავლესობის სახით წარმოდგენილი ყოფილი ოპოზიციის წევრებს შორის მრავლად არიან პოლიტიკოსები, რომ-ლებიც წლების მანძილზე აღვივებდნენ და ღიად გამობატავდნენ ჰომოფობიურ განწყობებს. დარჩება თუ არა უმცირესობათა საკითხები და ანტიქსენოფობიური დისკურსი (თუნდაც დეკლარირების დონეზე) პოლიტიკური მენ-სტრის ნაწილად, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღესდღეობით კი საკითხი ისევ რჩება პოლი-ტიკური სპეკულაციების საგნად.

24 იქვე.

25 „ქდმ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით გამოდის ლგბტ-ის აქტივობების შემდეგ“. პორტალი Civil Georgia, თბილისი / 22 მაი.'12. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25490>

ჰომოფობია: სოციალ-კულტურული ბარიერო საქართველოში

თამთა მელაშვილი

რა განაპირობებს ძლიერ ნეგატიურ განწყობას ლგბტ ადამიანების მიმართ საქართველოში? რის საფუძველზე ხდება ასეთი განწყობების შენარჩუნება? რატომ არ ხდება ფართო საზოგადოების მიერ ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის, აღიარება?

მოცემული სტატია პასუხის გაცემის მცდელობაა აქ დასმულ კითხვებში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით. შევეცდებით გავანალიზოთ ქართულ საზოგადოებაში არსებული კოლექტიური უარყოფითი დამოკიდებულება ლგბტ ადამიანების მიმართ იმ კულტურული და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ფართოდ გავრცელებული ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას საზოგადოებრივ დონეზე. სტატიაში აქცენტი გაკეთდება ჰომოსექსუალების მიმართ დამოკიდებულებაზე, რადგან უფლებათა საკითხები სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენს გეი, ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებზე. მიუხედავად მათ მიმართ არსებული დისკრიმინაციული განწყობისა, თითოეულ ჯგუფს თავისი სპეციფიკა აქვს და ამ სპეციფიკის გათვალისწინებით სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. ჰომოსექსუალობა, განსაკუთრებით მამაკაცური ჰომოსექსუალობა, დღეს ჩვენთან ყველაზე მეტ საფრთხედ არის აღქმული.

შესაბამისად ჰომოფობიური დისკურსის სამიზნე ყველაზე მეტად სწორედ ისინი არიან. ამიტომაც, ამ სტატიაში კონკრეტულად გეებისა და ლესბოსელების მიმართ არსებულ განწყობას გავანალიზებთ. ■

საქართველო ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ჰომოფობიური ქვეყანაა. ამასვე მონიშნავს არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევებიც. მართალია, მიზანი არ ყოფილა მხოლოდ ლგბტ ჯგუფის მიმართ არსებული განწყობების სიღრმისეული კვლევა, მაგრამ ეს საშუალებას იძლევა ზოგადი ტენდენციების წარმოდგენისათვის. 2003 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 84%-მა გამოავლინა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ¹. 2006 წელს მონაცემი დიდად არ შეცვლილა. ამჯერად რესპოდენტთა 81,4%-მა დააფიქსირა უარყოფითი აზრი. 2009-2011 წლებში კავკასიის კვლევისა და რესურსცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, განწყობა ჰომოსექსუალებთან მიმართებაში არ შეცვლილა. პირიქით, ჰომოსექსუალობა მიუღებლად ჩათვალა გამოკითხულთა 90%-მა.

1 Quinn S. "Forced Out: LGBT People in Georgia", ILGA Europe/COC Netherlands, 2007. p.26

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოფობია ინდივიდუალურ დონეზე ძირითადად წინასწარგანწყობებზე და ცრურწმენებზე დაფუძნებული ირაციონალური და გაუცნობიერებელი შიშია ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ, კოლექტიურ დონეზე იგი საკმაოდ გააზრებული და, შესაძლოა, დაგეგმილი ქმედებაც იყოს. ასეთ შემთხვევებში ინდივიდუალური წინასწარგანწყობები ხშირად იკვეთება დომინანტურ კულტურულ და იდეოლოგიურ შეხედულებებში ზოგადად ჰომოსექსუალობაზე. ამის შესახებ დისკურსს, როგორც წესი, მედიასთან ერთად და მისი გამოყენებით ძალაუფლების მქონე ინსტიტუციები ქმნიან. საქართველოში ასეთი ინსტიტუცია, პირველ რიგში, მართლმადიდებელი ეკლესიაა.

მიჩნევა, რომ საზოგადოებაში ჰომოფობიის ხარისხზე რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ცნობილია, რომ ჯგუფური სიძულვილის გამოვლინება განსაკუთრებით ძლიერდება სოციალური კრიზისების დროს. ასეთ დროს ადვილია მორალური პანიკის დანერგვა ხილული თუ უხილავი მტრის ხატის შექმნის ფონზე. ასეთი მტერი საქართველოში, ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში, „პიდარასტი“ გახდა, რომელიც ერთი მხრივ მამაკაცურ ჰომოსექსუალობას, მეორე მხრივ კი უცხო, სახიფათო, არატრადიციულს და მტრულს გაუთანაბრდა². ჰომოფობია საბჭოთა კავშირში იდეოლოგია იყო, ჰომოსექსუალობა კი დასჯადი. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ იდეოლოგიამ გამოხატულების უფრო აგრესიული ფორმა შეიძინა. სიძულვილი ჰომოსექსუალების მიმართ უფრო აშკარა და საგრძნობი გახდა. საქართველოში, მისი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, მალე გაჩნდა ჰომოფობიით გაჯერებული „შეთქმულების თეორიები“, რომელიც დღესაც წარმატებულია ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. „პიდარასტი“ მტერი გადაგვარებული, არაქართველი გახდა, რომელმაც საკუთარ სამშობლოს, ტრადიციებსა და ეროვნებას უღალატა. საბჭოურმა მითმა ჰომოსექსუალობის დასავლური წარმომავლობის შესახებ ჰომოსექსუალობა დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს გაუთანაბრა, რაც, თა-

ვის მხრივ, საფრთხე გახდა ქართული ეროვნული თითმყოფადობისთვის. ამან ჰომოფობიას პოლიტიკური კონტექსტი შესძინა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დამოკიდებულება ერისა თუ სახელმწიფოს სპეციფიკური გაგებიდან იღებს სათავეს, რომლის მიხედვითაც ნაცია აუცილებლად ჰომოგენურია. მას თავისი დანერგილი დაუნერგელი მორალური კანონი და წესრიგი აქვს, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. ჰომოსექსუალები კი ამ წესრიგის დამრღვევებად გვევლინებიან. ჰომოსექსუალისგან მტრის ხატის შექმნაში, მის მარგინალიზებასა და ზოგადად, ჰომოფობიური განწყობების გავრცელებაში დღეს განსაკუთრებულ როლს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკლესია თამაშობს, რომელიც სახიფათოდ ძლიერი და მზარდად გავლენიანი ინსტიტუციაა. საეკლესიო ჰომოფობიური დისკურსი, უმეტესწილად, იყენებს ბიბლიისა და ზოგადად, რელიგიის არასწორ ინტერპრეტირებას და პერმანენტულად მოუწოდებს საზოგადოებას ჰომოსექსუალთა მარგინალიზაციისკენ. ხშირად და წარმატებით ხდება დემოგრაფიული საკითხით მანიპულირება იმ აზრის გავრცელებით, რომ ერთსქესიანი წყვილები, ისედაც მცირერიცხოვან ერს, გადაგვარებით და განადგურებით ემუქრებიან.

გარდა ამისა, იმ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ჰომოსექსუალობა დიდი ხნის განმავლობაში იყო კრიმინალიზებული, გაჩნდა ლგბტ ადამიანების დამნაშავეებთან³ გათანაბრების ტენდენცია, რაც მათ შემდგომ სტიგმატიზაციას კიდევ უფრო უწყობდა ხელს. ქართულ ჰომოფობიურ დისკურსში ასევე ხშირად ხდება გეებისა და ლესბოსელების ავადმყოფებთან გაიგივება, თუმცა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა სიიდან ჯერ კიდევ 1990 წელს ამოიღო. ქართული საზოგადოების მიერ ლგბტ ადამიანების ავადმყოფებად და დამნაშავეებად მიჩნევას მხოლოდ არაინფორმირებულობა არ განაპირობებს. აქ სხვა ფაქტორიც მოქმედებს – საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის მისი საეკლესიო მოძღვარი უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე კანონი,

2 გიორგი მასისურაძე „დაკარგული კონტექსტები“ ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, 2012. გვ. 105.

3 Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity in Europe. 2nd edition, Council of Europe Publishing p.23

ან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია. შესაბამისად, მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლის, უმეტეს შემთხვევაში, დაუსაბუთებელი, ძალადობითა და სიძულვილით გაჯერებული, საკუთარ ფობიებზე აგებული დამოკიდებულება ლგბტ ადამიანებთან მიმართებაში, მრევლის მიერ უპირობო ქეშმარიტებად მიიღება, რაც შედეგობაში, მის უკიდურეს ჰომოფობიურ განწყობას ბადებს და/ან ახალისებს.

ტრადიციითა და ტრადიციული ღირებულებებით მანიპულირება, ამავე ტრადიციებზე ორიენტირებულ საზოგადოებებში, მხოლოდ ჰომოფობიური დისკურსით არ ხდება. ტრადიციული ღირებულებები ასევე კვეთს საზოგადოების მიერ ზოგადად გენდერისა და სექსუალობის გაგებას. ამ კუთხით ლგბტ ადამიანები აღიქმებიან, როგორც ნორმატიული საზღვრების დამრღვევები, სადაც საზოგადოება ერთგვარი გენდერული პოლიციის როლს ასრულებს და მტკიცედ აქვს განსაზღვრული მოთხოვნები და მოლოდინები ნამდვილი ქალისა და ნამდვილი მამაკაცის მიმართ. ასეთ შემთხვევებში ქალურობა და მამაკაცურობა ბუნებრივ მოცემულობად აღიქმება, ასევე „ბუნებრივია“ მათი ჰეტეროსექსუალობაც. შესაბამისად, არსებობს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული „ბუნებრივად“ მამაკაცური და „ბუნებრივად“ ქალური თვისებები. ისეთ პატრიარქალურ და მასკულინურ კულტურებში, როგორიც ქართულია, რა თქმა უნდა, უპირატესი მამაკაცური თვისებებია. ჰომოსექსუალი კი, რომელიც იმ თვისებების მატარებლად აღიქმება, რომელიც კოდირებულია როგორც ქალური, ნამდვილი მამაკაცი აღარ არის. იგი დევიანტია, დევალიზირებული და სახიფათოც, რადგან ის მამაკაცურობისა და მამაკაცობის ბუნებრიობას, მის ბუნებრივად ჰეტეროსექსუალობას თავისი არსებობით ეჭვქვეშ აყენებს. ამიტომ მიიჩნევა, რომ სექსიზმი, ჰეტეროსექსიზმი და ჰომოფობია განუყოფელია. ამერიკელ სოციოლოგს მაიკლ კიმელს ჰომოფობიასთან დაკავშირებით განსხვავებული და საინტერესო მოსაზრება აქვს. ის მიიჩნევს, რომ ჰომოფობია არა იმდენად გეი მამაკაცების შიშია, რამდენადაც ზოგადად, სხვა მამაკაცების შიში, რომელთაც შეიძლება

„კაცობა ჩამოგვართვან, ჩვენი ნამდვილი სახე დაგვანახონ, გვაგრძნობინონ, რომ გვეშინია“⁴. მამაკაცთა შიში და შფოთვა, რომ ისინი ჰომოსექსულებად არ იქნან აღქმული სხვა მამაკაცების მიერ, აიძულებს მათ გააზვიადონ და გადაჭარბებით წარმოაჩინონ საკუთარი მასკულინობა. ასეთი გამოვლინებები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული და მიღებული პრაქტიკაა ისეთ კოლექტიურ და ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორიც ქართულია.

რაც შეეხება სექსუალობას, საზოგადოებრივ დონეზე ჰომოფობიურ განწყობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრადიციული იდეოლოგიის, განსაკუთრებით რელიგიის, დამოკიდებულება სექსუალობასთან. მიიჩნევა, რომ ჰომოფობიის მაღალი დონით ის საზოგადოებები გამოირჩევა, სადაც ბევრი სექსუალური ტაბუა. ადამიანთა უმრავლესობისთვის მიუღებელია არა მხოლოდ სხვისი, არამედ საკუთარი სექსუალობაც. საკუთარი სექსუალობის მიუღებლობას და მუდმივ რეპრესირებას, როგორც წესი, სექსუალური შფოთვა მოჰყვება, რაც სხვისი სექსუალობის მიმართ სასტიკ შეუწყნარებლობას ბადებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების სექსუალური კულტურისა და განათლების ზოგადი დონე. განათლება მნიშვნელოვანი წინამძღვარია ცრურწმენებისა და წინასწარგანწყობების დასაძლევად. როგორც წესი, განათლებულ ადამიანებში ჰომოფობიის ხარისხი დაბალია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს სექსუალური განათლება. უფრო მეტიც, სექსუალური განათლების დანერგვის არათუ ოდნავი მცდელობა, არამედ ამაზე საჯაროდ საუბარიც კი აგრესიულად განწყობს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საზოგადოების უმრავლესობას. ამას განაპირობებს ის, რომ სექსუალური განათლება ერის გარყვნასა და გადაგვარებასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე ინფორმირებულობისა და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრების წესის დანერგვასთან. გასაგები ხდება საზოგადოებაში ჰომოფობიის მაღალი დონის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ასპექტი.

4 Michael Kimmel, "Masculinity as Homophobia: Fear, Shame and Silence in the Construction of Gender Identity" in Peter Murphey (ed) *Feminism and Masculinities*, Oxford University Press, 2004, p. 193

საზოგადოების ჰომოფობიური განწყობების ერთგვარი ტესტი, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, საქართველოში ლგბტ თემის ხილვადობის გაზრდა გახდა. საჯარო სივრცეში ლგბტ ადამიანების გამოჩენა ავტომატურად იქნა აღქმული როგორც ჰომოსექსუალობის პროპაგანდა, რამაც უფრო გაამძაფრა შეუწყნარებლობა და გაზარდა კოლექტიური შიშები, შფოთვები და აგრესია. 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მსვლელობა საეკლესიო პირებისა და რელიგიური ექსტრემისტების მიერ ძალის გამოყენებით ჩაიშალა. არათუ რეალური მარშირება, არამედ მანამდე ბევრჯერ გაჟღერებული მითიური პრაიდი არაერთხელ გამხდარა „ეროვნული“ მობილიზაციის ყველაზე ეფექტური საშუალება, რამაც კიდევ ერთხელ საშუკარაოზე გამოიტანა ქართული საზოგადოების უკიდურესად ჰომოფობიური განწყობა.

ამ ბოლო ხანებში კიდევ ერთი ტესტი გახდა სახალხო დამცველობის კანდიდატებთან დაკავშირებით წამოჭრილი საჯარო დებატები, რამაც ხაზი გაუსვა საზოგადოების ჰომოფობიურობას. თავად კანდიდატებისთვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა ლგბტ ადამიანების მიმართ მათი დამოკიდებულება⁵. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი გახდა ლიად ლგბტ მეგობრული კანდიდატი. საბოლოო ჯამში არჩევანი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გაცხადებულ ისეთ ფავორიტზე შეჩერდა, რომლის დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის მიერ არ არის მკვეთრად აგრესიული, მაგრამ ძალიან კარგად ასახავს ქართულ საზოგადოებაში ამ ბოლო დროს გაჩენილ, თითქოსდა, ნაკლებად ჰომოფობიურ ტენდენციას, რომელიც აღიარებს ჰომოსექსუალების არსებობას, მაგრამ მიუღებლად მიიჩნევს მათი თვითგამოხატვის ნებისმიერ ფორმას (რაც ისევ პროპაგანდად აღიქმება). მსგავსი „იყოს, მაგრამ მე არ შემეხოს“ დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად ჰომოფობიურია, რადგან გამორიცხავს ლგბტ ადამიანთათვის კონსტიტუციით დადგენილ თვითგამოხატვის უფლებას. ეს საფუძველს უდებს ადამიანთა პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად კატეგორიზებას, სადაც მეორეხარისხოვანი მო-

ქალაქეების, უმცირესობების ბედს უმრავლესობა განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში ასევე უმრავლესობა, თავისი კეთილი ნების საფუძველზე (რომელიც ხშირად არც გააჩნია), სელექციურად აწესებს უფლებათა საზღვრებს უმცირესობებისთვის, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია დემოკრატიულ ღირებულებებთან და თანასწორობის პრინციპებთან.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კოლექტიური ჰომოფობიური განწყობა მჭიდრო კავშირშია საზოგადოების სოციალური და კულტურული შემწყნარებლობის ზოგად დონესთან. რეალობამ კი აჩვენა, რომ შეხედულება ქართველი ერის ტოლერანტობის შესახებ საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი მითიური კონსტრუქტი იყო. აღმოჩნდა, რომ საქართველოში პლურალიზმი უცხო ხილია, მრავალფეროვნება კი მიუღებელი. აქ ყველა განსხვავებული სხვაა, უცხოა და შესაბამისად არასასურველი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული სოციო-კულტურული ფაქტორები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ისინი კომპლექსურად მოქმედებენ და საბოლოო ჯამში განაპირობებენ ჰომოფობიის დონეს საზოგადოებაში. ხაზგასასმელია ისიც, რომ ჰომოფობია უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე, რომელთა სანინააღმდეგოდ არის მიმართული ეს პრაქტიკა, არამედ თვით ამ პრაქტიკის განმახორციელებლებზეც. საზოგადოებას, რომელიც აღიარებს და უშვებს მეორეხარისხოვანი მოქალაქეების არსებობას, ძალიან გაუჭირდება ადამიანთა თანასწორობისა და სხვა უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ღირებულებების გააზრება და გათავისება. ისეთი ჩაკეტილი და ტრადიციული საზოგადოებისთვის, როგორც ქართულია, ჰომოფობიური განწყობის კლება და ღირებულებების გადაფასება არა მხოლოდ ჰომოსექსუალობასთან, არამედ ზოგადად გენდერთან, სექსუალობასთან, ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში საკმაოდ მტკივნეული და დროში განელილი პროცესი იქნება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი საზოგადოების მხრიდან, ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის, აღიარება იქნება.

5 ე.აღდგომელაშვილი, „ჰომოფობია ომბუდსმენობის კანდიდატების დისკუსიაში“. ნეტგაზეთი, 05.11.2012.

ნაწილი მეორე

ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში

ნათია გვიანიშვილი

საქართველოში გენდერულ საკითხებზე საუბრისას იშვიათად ახსენდებათ (ან იშვიათად იცინან), რომ გენდერის ცნება მხოლოდ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობის პრობლემას არ მოიაზრებს. გენდერული ნიშნით ძალადობა და დისკრიმინაცია ნებისმიერმა გენდერულად არაკონფორმულმა ადამიანმა შეიძლება განიცადოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ ტრანსგენდერი ადამიანები, რადგან მათი სტატუსი საზოგადოებაში სწორედ მათი გენდერული იდენტობით განისაზღვრება. ქვემოთ ვნახავთ, რომ ორ, ურთიერთსაპირისპირო და მკაცრად განსაზღვრულ გენდერზე აგებული სისტემა მათ საჭიროებებზე არაა მორგებული.

საქართველოში მცხოვრებ ტრანსგენდერ ადამიანებზე ცოტა რამ არის ცნობილი, რადგან მათ არ ეთმობათ სათანადო ყურადღება. ხშირად ისინი რჩებიან როგორც აკადემიური, ისე სოციოლოგიური კვლევების მიღმა. 2012 წელს ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერმა ჯგუფმა“ ორგანიზაცია „იდენტობასთან“ თანამშრომლობით ჩაატარა ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) ადამიანების დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში მასალის შეგროვება ხდებოდა ნერილობით, სპეციალური კითხვარების დახმარებით, მრავალმხრივი ინფორმა-

ციის მისაღებად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ტრანსგენდერ ადამიანებთან ჩალრმავებული ინტერვიუების ჩანერა. ■

ტრანსგენდერის რაობა

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე ვისაუბრებთ, საჭიროა ავხსნათ ზოგიერთი ცნება, რომელიც მნიშვნელოვანია ტრანსგენდერი ადამიანების იდენტობისა და მდგომარეობის გასაგებად. ტრანსგენდერი შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინერილი გენდერისგან. ტრანსგენდერი ადამიანი თავს შეიძლება აიგივებდეს კაცთან, ქალთან, არც ერთ მათგანთან, ან ორივესთან¹. ტრანსსექსუალი უფრო სამედიცინო ხასიათის ტერმინია და აღნიშნავს ტრანსგენდერ ადამიანს, რომელიც არჩევს სამედიცინო და ქირურგიული გზით შეიცვალოს სქესი. პროცესს, რომელიც მინერილი გენდერიდან სასურველ გენდერამდე გადასვლის ფაზას წარმოადგენს, ტრანზიცია ეწოდება. ეს ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რომლისთვისაც საჭირო ფაქტორები შეიძლება იყოს ადამიანის გენდერული თვითაღქმის შესაბამისი ტრანსაცემელი და აქსესუარები, ქცევა, ჰორმონ-

1 <http://www.glaad.org/reference/transgender>

ნული თერაპია და ქირურგიული ჩარევა.

იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად ხდება გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ცნებების ერთმანეთში არევა, ხაზი უნდა გავეუსვათ, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს, ისევე როგორც ყველას, შეიძლება ჰქონდეს ჰეტეროსექსუალური, ბისექსუალური, ჰომოსექსუალური, ასექსუალური ან სხვა სექსუალური ორიენტაცია.

კვლევის მონაწილეები

2012 წელს ჩატარებული დისკრიმინაციის კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა ექვსი ტრანსგენდერი ადამიანი (2 ტრანსგენდერი კაცი, 3 ტრანსგენდერი ქალი და ერთი რესპოდენტი, რომელიც ამჟამად არც ერთ სქესთან და გენდერთან არ აიგივებს თავს). რესპოდენტთა რაოდენობის სიმცირე, განპირობებულია საქართველოში ტრანსგენდერთა ორგანიზებული თემის არარსებობით. ჩვენი რესპოდენტები სწორედ ის აქტიური ბირთვია, რომელიც მეტნაკლებად ჩართულნი არიან ლგბტ აქტივობებში. სტატიაში ასევე გამოყენებულია ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ მოპოვებული მასალები ტრანსგენდერ ადამიანთა პრობლემებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით.

ექვსივე მონაწილე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს (19-39) მიეკუთვნება და ტრანზიციის სხვადასხვა ფაზაზე იმყოფება. ისინი განსხვავდებიან სოციალური, ეკონომიკური, განათლებისა და დასაქმების სტატუსითაც. ექვსი რესპოდენტიდან მხოლოდ ორი ტრანსგენდერი კაცი (28 და 39 წლის) და ერთი ტრანსგენდერი ქალი (21 წლის) ახერხებს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავი წარმოაჩინოს სასურველი გენდერის სახით. დანარჩენებს სხვადასხვა მიზეზის (ძალადობის, დაცინვისა და უკვე მიღწეული სოციალური სტატუსის დაკარგვის შიში) გამო უწევთ კონფორმული დარჩენა დაბადებისას მიწერილი გენდერისადმი. რესპოდენტებიდან ინტერვიუს მომენტისთვის ორი ტრანსგენდერი კაცი (28 და 39 წლის) და ერთი ტრანსგენდერი ქალი (27 წლის) იყო დასაქმებული, ხოლო ერთი ტრანსგენდერი ქალი (19 წლის) იყო სტუდენტი.

ბავშვობა

აღმოჩნდა, რომ ექვსივე რესპოდენტი საკმაოდ ადრეული ასაკიდან ავლენდა გენდერულ არაკონფორმულობას, რისთვისაც ისჯებოდა ოჯახის წევრების მხრიდან. როგორც ჩვენი რესპოდენტების შემთხვევაში გამოვლინდა, ეს სასჯელი უფროსების მხრიდან სხვადასხვა ფორმით ვლინდება: შერცხვენის, გაკიცხვის, საყვედურისა და ფიზიკური ძალადობის სახითაც კი. სწორედ ეს განაპირობებს ხშირ შემთხვევაში იმას, რომ ტრანსგენდერი ადამიანები (მათ შორის, ჩვენი რესპოდენტებიც) ადრეული ასაკიდანვე სწავლობენ საკუთარი თვითგამოხატვის² კონტროლსა და მის მოდიფიკაციას სიტუაციების მიხედვით:

„...შეგნებული ბავშვი ვიყავი... ანუ რაღაც სიტუაციებში რაღაცების გაკეთება არ შეიძლებოდა იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვაზე ვილაცხვებ არ დაინახავდნენ და არ აღიქვამდნენ ამ ყველაფერს, როგორც მე მინდოდა და თავს კომფორტულად ვიგრძნობდი, შესაბამისად, ისე ვიქცეოდი, როგორც სიტუაციას სჭირდებოდა...“

(ბებში, 27 წლის)

ისინი არ საუბრობენ საკუთარ გენდერზე მშობლებთან და ნათესავებთან, საჯაროდ არ ატარებენ სასურველი გენდერის შესაბამის ტანსაცმელსა და აქსესუარებს და გადაცმას ან მარტო ან ძალიან ახლო მეგობრების წრეში ახერხებენ.

ბექა (39 წლის) იხსენებს, ბავშვობაში სისტემატური ფიზიკური ძალადობის ფაქტებს ოჯახის წევრების მხრიდან. მისი თქმით, მოზარდობისას, როდესაც მშობლებმა დაინახეს, რომ იგი არც ცემამ და არც საყვედურმა არ „გამოასწორა“, ის ფსიქიატრთან წაიყვანეს. ეს უკანასკნელი ბექას მშობლებს დაჰპირდა, რომ თუ გარკვეული დროის განმავლობაში შვილს მასთან ატარებდნენ, საბოლოოდ მიიღებდნენ „იდეალურ ქართველ ქალს“. გარკვეული მიზეზების გამო თერაპიის ეს კურსი არ შედგა და ბექა უკვე რამდენიმე წელია კაცის გენდერით წარმოჩინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

² გენდერული თვითმიკუთვნებულობის გამოვლინებად რესპოდენტები მოიაზრებენ ემოციების გამოხატვას, ტანსაცმელს, მანერიზმებს, ქცევას და გემოვნებას.

ფსიქოლოგიურ ზენოლას თანატოლების, მათი და საკუთარი მშობლებისგან ექსივე რესპოდენტი განიცდიდა. ბემბის (27 წლის) თქმით, ის ადრეული ასაკიდანვე მიხვდა, რომ თავისი სურვილები უნდა დაემალა და ძალიან ფრთხილად არჩევდა მესაიდუმლეს, ვისაც გაუმჟღავნებდა საკუთარ განსხვავებულობას. სალომე (21 წლის) აცხადებს, რომ მას ხშირად კიცხავდნენ იმ გოგონების მშობლები, რომლებთანაც ის ბავშვობაში თამაშობდა. მათ თურმე ძალიან უკვირდათ „ამ ბიჭს“ სულ გოგონებთან რატომ სურდა ყოფნა.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ზრდასრულ ასაკში

ზრდასრულ ასაკში ფიზიკურ ძალადობაზე მხოლოდ ლეო (28 წლის) საუბრობს. შემთხვევა, რომელსაც იხსენებს 7 წლის წინ მოხდა იმ ადამიანების წრეში, ვისთან ერთადაც ის ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარდა. ინციდენტის მიზეზად ის თავის გენდერულ იდენტობას ასახელებს, მაგრამ დეტალებს არ იხსენებს. ბემბი გაკვირით ამბობს, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონია, მაგრამ მათი გახსენება არ სურს, რადგან ცდილობს ყველაფერი უარყოფითი ამოშალოს ცხოვრებიდან. პოლიციისთვის არც ერთ მათგანს არ მიუმართავს, რადგან თვლიან, რომ პოლიციის თანამშრომლები მოძალადეებზე უფრო ტრანსფობიურები³ შეიძლება აღმოჩენილიყვნენ.

ფსიქოლოგიური ძალადობა ექსივე რესპოდენტს განუცდია და ჯერ კიდევ განიცდის საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა სოციალურ ფენაში. მაია (19 წლის) ამბობს, რომ ფსიქოლოგიური ზენოლა, რომელსაც ის განიცდის, როგორც წესი, ვერბალური შეურაცხყოფის ხასიათს ატარებს: ოჯახი მას მუდმივად მოუწოდებს შეიცვალოს ქცევა, მანერები და ჩაცმულობა. მისი ფემინურობა შეუმჩნეველი არ რჩებათ არც უცხო ადამიანებს ქუჩაში. ზოგიერთი მათგანი თავს უფლებას აძლევს კომენტარი გააკეთოს მის გარეგნობაზე და „გეი“ უწოდოს ან შეაგინოს.

ბექას თქმით ფსიქოლოგიურ ძალადობას

მასზე ხშირად ახორციელებენ გამვლელი ქუჩაში. მან ერთი ფაქტიც გაიხსენა, როდესაც მასთან ორი უცნობი ადამიანი მივიდა და ამცნო, რომ ისინი დანიძლავებულან ბექა კაცი იყო თუ ქალი და გადაწყვიტეს პირდაპირ ეკითხათ:

„მოვიდა მასტი და მაზიანი დავეთო რა, და რომელი ხარო და ნილში თუ გამიყვან გეტყვი, თუ არა და არა-მეთქი. რა უნდა ვუთხრა მაგ დროს? რაღაც ისეთი მომენტი, სასტავი რო დგას და მარტო ხარ, არ ხარ რა დაცული. მე ჩხუბის კი არ მეშინია... ხეიბრობის მეშინია ცოტა, თუ არა და ჩხუბის და იმის არ მეშინია არასდროს.“

(ბექა, 39 წლის)

ბექას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ეპიზოდები დღესდღეობით უფრო იშვიათია, ეს მაინც გამაღიზიანებელია.

საინტერესოა, ლამას (24 წლის) შეხედულება საზოგადოების მხრიდან ფსიქოლოგიურ ზენოლაზე, რაც მისი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მუშაობის ოთხწლიან სტაჟს უკავშირდება. ის ამბობს, რომ ნაწილში გენდერული იდენტობის გამო პრობლემები არ შექმნია, გარკვეული ჭორების გარდა, რასაც ის გარდაუვალად მიიჩნევს. მიმღებლობას საკუთარი თავისადმი ის უფრო პიროვნულ თვისებებს და მეგობრებთან გულახდილობას უკავშირებს და თვლის, რომ უცხო საზოგადოებაში, ინფორმაციის მისაწვდომობის მიუხედავად, აგრესია მეტია.

ოჯახი და მეგობრები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტრანსგენდერი (ისევე, როგორც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი) ადამიანები ხშირად ვერ იღებენ მხარდაჭერას ოჯახისა და მეგობრებისაგან. ჰომოფობიურ ოჯახსა და გარემოში ცხოვრება, ისევე, როგორც ტრანსფობ მეგობრებთან ურთიერთობა, დაძაბულობას ქმნის და ხშირად იწვევს თვითმეფასების დაქვეითებას ადამიანში, უბიძგებს რა მას საკუთარ თავში ჩაიკეტოს და დიდი ფსიქოლოგიური სტრესის ფასად გააკონტროლოს საკუთარი თვითგამოხატვა.

ძალადობისა და საყვარელი ადამიანების დაკარგვის შიში ტრანსგენდერი ადამიანების

³ ტრანსფობია: ირაციონალური შიში და სიძულვილი ტრანსგენდერი ადამიანებისადმი

ქამინ-აუთის⁴ საკვანძო ფაქტორებია. თუმცა ლა მოვლენები ყოველთვის ერთი სცენარის მიხედვით არ ვითარდება. მაგალითად, ნინომ (25 წლის) ნებაყოფლობით გააკეთა ქამინ-აუთი დედასა და რამდენიმე ნათესავთან. მას ეგონა, რომ თავის ირგვლივ ბევრ ადამიანს დაკარგავდა. ამის საპირისპიროდ აღმოჩნდა, რომ ქამინ-აუთის შემდეგ მან ბევრი მეგობარი შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ნინოს დედა დღემდე „ლოცულობს, რომ ეს არ მოხდეს“ (ნინომ არ გაიკეთოს სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია) ის თავის ქამინ-აუთს წარმატებულად თვლის. მაიას შემთხვევაშიც, ქამინ-აუთის შემდეგ დედამ შეწყვიტა ტრანსგენდერ ადამიანებზე დამამცირებელი კომენტარების კეთება, თუმცა შვილის მდგომარეობა ჯერ ბოლომდე არ ესმის.

ბემბის ქამინ-აუთი გარემოებებმა განაპირობა. დედამ შემთხვევით აღმოაჩინა მისი „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა, თუმცა ისინი ამ თემაზე არასოდეს საუბრობენ. ნებაყოფლობითი ქამინ-აუთი აქვს გაკეთებული რძალთან, რომელიც ბემბის თანაუგრძნობს. ფსიქოლოგიურ ზენოლას ოჯახში უფრო მეტად ძმისგან განიცდის, რომელიც ბემბის „ქალური მანერების“ შესახებ ხშირად დამამცირებელ კომენტარებს აკეთებს. ის ერიდება მამასთან საკუთარი გენდერული იდენტობის გამჟღავნებას, რადგან მისი, ისედაც შერყეული, ჯანმრთელობის გაუარესებისა ეშინია. საინტერესოა, რომ ბემბი ბავშვობიდან ხელოვნების სფეროში საქმიანობს და მისი ქცევა და მანერულობა ხშირად სწორედ მის პროფესიას მიენერება და არა მის გენდერულ იდენტობას.

სალომეს ოჯახში ტრანსფობია საკმაოდ სერიოზულ ხასიათს ატარებს. ის ამჟამად მართო ცხოვრობს, რადგან დედა და პაპა მას არ თანაუგრძნობენ. მიუხედავად იმისა, რომ დედა ცდილობს მას მატერიალურად დაეხმაროს, ის ასევე სისტემატურად ურეკავს შვილს და უყვება იმის შესახებ თუ როგორ ეჭრება თავი მისი საქციელის გამო. პაპა მას მოკვლით ემუქრება.

ბექას ოჯახში მისი გენდერული იდენტობის

შესახებ ყველამ იცის. მისი ქამინ-აუთი მშობლებთან ბავშვობაში მოხდა, როდესაც მშობლებმა აღმოაჩინეს, რომ მას თანატოლი გოგონა უყვარდა. მშობლები ძალიან ეცადნენ მისი იდენტობა შეეცვალათ და ამდენი ზენოლის შემდეგ ის დათანხმდა მეგობართან ქორწინებაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ბექა დაორსულდა და ბავშვი გააჩინა. როგორც თვითონ ამბობს, იმ მომენტისთვის მშობლობისთვის მზად არ იყო და სუიციდის მცდელობაც ჰქონდა, მაგრამ მან მოახერხა გადაელახა ეს პერიოდი, რაშიც მეგობრების თანადგომა და რელიგია დაეხმარა:

„რალაც პონტში კაია ეხლა შვილი რო მყავს. ელემენტარულად თუნდაც იმ პონტში, რომ მე ჩემს სინდისთან მართალი ვარ და ზოგადად, საზოგადოებასთანაც მართალი ვარ. რომ ამბობენ, რომ [შეიძლება] შეიცვალო, მე ვეცადე რომ გავმხდარიყავი რაც ვარ ბიოლოგიურად ის, მარა არ გამომივიდა.. ისეთ დონეზე არ გამომივიდა, რომ ვაფშე აღარ უნდა ვყოფილიყავი მაშინ და ... რალა მე აღარ ვიყო, თქვენ მოგვშალოთ ნერვები-თქო რა და ... სწორი გადანყვეტილება მივიღე, მე ასე ვფიქრობ.“

(ბექა, 39 წლის)

მოცემულ ეტაპზე, ოჯახი არ ერევა მის გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებში, რაც, როგორც თავად ბექა აღნიშნავს, შეიძლება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ ის ერთ-ერთი მთავარი მარჩინალია და ოჯახის წევრები უფრო ვალდებულად თვლიან თავს პატივი სცენ მის აზრს. ხუთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ მეგობრები მათი მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მაია ამბობს, რომ მეგობრებთან საკუთარ იდენტობაზე საუბრისას ვერანაირ მხარდაჭერასა და რჩევებს ვერ იღებს, რაც იძულებულს ხდის მას ნაკლებად ისაუბროს მათთან ამ თემაზე.

ოჯახის მხრიდან ზენოლის შემთხვევებზე თავად სპეციალისტებიც საუბრობენ:

„იძულებით მკურნალობაზე ერთი პაციენტი მახსენდება, FiM, რომელიც პირდაპირ ეუბნებოდა დედამისს, რომ ბიჭი ვარ და გამანებეთ თავიო. დედა ატარებდა ექიმებთან, უტარებდა ენდოკრინოლოგიურ გამოკვლევებს. ის უკვე 25 წლის იყო, გარკვეული

⁴ ქამინ-აუთი (coming out): საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამჟღავნება სხვა ადამიანებისათვის.

ჰქონდა, რომ არის გენდერულად მამაკაცი და ჰყავდა ცოლი, რომელთანაც სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდა, ჰქონდა აბსოლუტურად ჩამოყალიბებული სექსუალური რეპერტუარი და დედამისის ამ საუბარზე უბრალოდ ეცინებოდა⁵

დედის მოთხოვნას „მკურნალობის“ შესახებ, ეს ადამიანი ემორჩილებოდა იმიტომ, რომ არ ჰქონდა ფინანსური სახსრები იმისათვის, რომ საკუთარი თავი და მეუღლე ერჩინა. ფინანსური დამოკიდებულება ოჯახზე ხშირად ხდება იმის საფუძველი, რომ ტრანსგენდერი ადამიანები საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებით დათმობებზე მიდიან. მათი ფინანსური დამოუკიდებლობა კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათ ლეგალურ სტატუსზეცაა დამოკიდებული.

სამედიცინო და ლეგალური ასაქმები. დასაქმება

ტრანსსექსუალის ცნება ასევე მჭიდრო კავშირშია გენდერული დისფორიის, ანუ გენდერული იდენტობის აშლილობის დიაგნოზთან, რომელიც შესულია ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მენტალურ დაავადებათა სახელმძღვანელოში (DSM-IV TR)⁶. გენდერული დისფორიის დიაგნოზი ბევრ ქვეყანაში საჭიროა იმისათვის, რომ ტრანსსექსუალ ადამიანს უფლება ჰქონდეს ქირურგიული გზით შეიცვალოს სქესი ან მისი სასურველი გენდერის ლეგალურ აღიარებას მიაღწიოს. საქართველოში ამისათვის „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა საჭირო. ტერმინი „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი“ დღეს უკვე მოძველებული ცნებაა და დასაბამს იღებს გერმანელი ენდოკრინოლოგის ჰარი ბენჟამინის პრაქტიკაში. სწორედ ბენჟამინმა მოახდინა გენდერული იდენტობის აშლილობის სხვადასხვა ინტენსივობის კლასიფიკაცია, სადაც „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი“⁷ განსაზღვრა როგორც უკიდურესი ფორმა, რომლის შემთხვევაშიც ქირურგიული ჩარევა და

ჰორმონალური თერაპია აუცილებელია პაციენტის კეთილდღეობისთვის. ჩვენი რესპოდენტებიდან „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა ექვსიდან მხოლოდ სამს (ერთ ტრანსგენდერ ქალს, ერთ ტრანსგენდერ კაცს და ერთ რესპოდენტს, რომელიც არ აიგივებს თავს არც ერთ სქესთან) აქვს აღებული. რესპოდენტებიდან მხოლოდ ორი ტრანსგენდერი კაცი იღებს ჰორმონებს, ერთს კი გაკეთებული აქვს ბილატერალური მასტექტომია. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობის მისაღებად საჭირო პროცედურები, ჰორმონული თერაპია და ქირურგიული ოპერაციები საკმაოდ ძვირადღირებულია⁸, ისევე, როგორც ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი. როგორც აღმოჩნდა ჩვენს რესპოდენტებს ამ პროცედურების გავლის საშუალება არ აქვთ. ლეოს თქმით, მაგალითად, მას ცნობის ასაღებად და ბილატერალური მასტექტომიის გასაკეთებლად, ბინის გაყიდვა მოუწია. საქართველოში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირადობის დამადასტურებელ საბუთებში სქესის შესაცვლელად აუცილებელია სქესის კვლავინიჭების ქირურგიული ოპერაციის სრულად ჩატარება⁹. იქიდან გამომდინარე, რომ ოპერაციას ბევრი ვერ, ან არ იკეთებს, ეს ადამიანები ორ გენდერს შორის რჩებიან წლების განმავლობაში. ექვსივე რესპოდენტი მიიჩნევს, რომ სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა საბუთებში უნდა ხდებოდეს „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობის და არა სქესის კვლავინიჭების ოპერაციის საფუძველზე.

ლაშამ, ალტერნატიული გზა იპოვა იმისათვის, რომ საკუთარი სხეული თვითაღქმასთან ჰარმონიაში მოეყვანა. მან ბილატერალური მასტექტომია 2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გაიკეთა, როდესაც ჯარში მსახურობდა:

„ოპერაცია ომის შემდეგ იმიტომ გავიკეთე, რომ ბევრი კითხვა არ დაესვათ მეზობლებს, მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა ყველაფერი

5 მასალა CEDAW ჩრდილოვანი ანგარიშიდან ლბტ ქალების მდგომარეობაზე საქართველოში, ინტერვიუ მაია ჭავჭავანიძესთან, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2012.

6 <http://behavenet.com/apa-diagnostic-classification-dsm-iv-tr>

7 http://www.genderpsychology.org/transsexual/benjamin_gd.html

8 ორგანიზაცია „იდენტობას“ მიერ ჩატარებული მოკვლევების შედეგად, ტრანზიციის სამივე ეტაპის გასავლელად საჭირო ხარჯები ჯამში დაახლოებით 19000 ლარს შეადგენს და არც ერთ ამ პროცედურას არ ფარავს არც სახელმწიფო და არც კერძო დაზღვევის პროგრამები.

9 ევროპის საბჭოს CM REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგი საქართველოში. WISG. 2012

იცოდნენ, დანარჩენებს დაჭრილი ვეგონე... ოპერაცია გავიკეთე არასწორი დიაგნოზით, ვითომ მეკრძებ კვანძები მქონდა. მაგ შემთხვევაში ექიმის პასუხისმგებლობა მოხსნილია, რაღაც რომ არ მომწონებოდა ექიმს პასუხს ვერ მოვთხოვდი, ახლაც ჰორმონალურ თერაპიას ვიკეთებ არალეგალურად... თანაც სხვაგან ეს ოპერაცია 900 ლარი ღირს, მაგრამ რადგან იცოდა ტრანსი ვარ, 2000 ლარი გადაამხდევინა, თანაც ხელზე, უსაბუთოდ.⁴⁰

(ლაშა, 24 წლის)

ინტერვიუს დროისათვის ბექას სახელი შეცვლილი ჰქონდა პირადობის მონმობაში და იმის გათვალისწინებით, რომ ძველ პირადობის მონმობაში სქესი აღნიშნული არ არის, მისი პრობლემები ოდნავ შემცირდა. თუმცა ბანკში მისულს მას ერთხელ „ქალბატონოთი“ მიმართეს, რაც მან ძალიან დამამცირებლად აღიქვა. ის უკვე წლების განმავლობაში კაცად წარმოაჩენს თავს.

ლელს მდგომარეობა უფრო პრობლემატურია, რადგან მას ახალი პირადობის მონმობა აქვს, სადაც მდებარეობითი სქესია მითითებული. ის მაქსიმალურად ცდილობს დამალოს საბუთი, ხოლო როცა მისი წარდგენა უწევს, ამბობს, რომ რეესტრში შეცდომა დაუშვეს. 2005 წელს მას უარი უთხრეს დასაქმებაზე ერთ-ერთ რესტორანში:

„წამოვედი ჩემი განცხადებით და მერე რომ ვთხოვე ხელმეორედ აღვედგინე სამსახურში, მითხრეს, რომ შენ ხო იცი, რომ შენზე იციან, რომ ტრანსგენდერი ხარ და ვერ აღგადგენთო. მაგითი მომიცილეს რა... უბრალოდ ასე იყო, საბუთის სახე არ ჰქონდა ამას ოფიციალური, სიტყვიერად მითხრეს.“

(ლეო, 28 წლის)

კვლევის მომენტისთვის რესპოდენტებიდან მხოლოდ სამი იყო დასაქმებული. ბემბი საკუთარ სამუშაო გარემოს ახასიათებს როგორც მეგობრულს, რაც მისი აზრით, მისი და თანამშრომლების პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეობს და არ უკავშირდება გენდერულ იდენტობას.

სალომე მიმტანად მუშაობდა ერთ-ერთ ცნობილ კაფეში, სადაც საკმაოდ კეთილგანწყო-

ბილი გარემო იყო. 2010 წელს, როდესაც მისი ინტერვიუ ერთ-ერთი თბილისური ჟურნალის გვერდებზე გამოჩნდა, ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. უფროსის თქმით, მისი იქ ყოფნა დისკომფორტს შეუქმნიდა კლიენტებს. სალომე ამბობს, რომ სამსახურის დაკარგვის გამო მისი ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ დედის დახმარების გარეშე შეიძლებოდა კომერციულ სექსშიც ჩაბმულიყო. დასაქმებასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციას ის 2011 წელსაც გადააწყდა, როდესაც „ემ-გრუპის“ ტრენინგი გაიარა, სადაც მას როგორც ტრენინგები, ისე მონაწილეები აღმაცერად უყურებდნენ. ტრენინგების შედეგად ყველა დასაქმდა სალომეს გარდა, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გამოცდაზე კარგი შეფასება მიიღო.

ბექა რამდენიმე წლის წინ გაათავისუფლეს პოლიციიდან, ოლონდ, როგორც ლესბოსელი და არა როგორც ტრანსგენდერი. თანამშრომლების განცხადებით მას „ქალები ურეკავდნენ“ და ის ამით „არცხვენდა პოლიციას“, რის შედეგადაც ახალმა უფროსმა დაიბარა და წასვლა მოსთხოვა.

ნინოს ერთი სამსახური დიდი ხნით არასოდეს შეუნარჩუნებია. ის ძირითადად ბარმენად ან მიმტანად მუშაობდა ხოლმე, და სამსახურის ცვლა მზარდი უარყოფითობის გამო უწევდა. ერთხელ ორმა კლიენტმა უთხრა, რომ გარეთ დაელოდებოდა „დასალაპარაკებლად“. ნინოს შეეშინდა და მეორე დღეს სამსახურში აღარ მისულა. ერთადერთი დადებითი შემთხვევა, რომელსაც ის თავისი სამუშაო პრაქტიკიდან იხსენებს იყო მაშინ, როდესაც უფროსმა გამოაცხადა, რომ მისთვის მთავარია როგორ მუშაობენ მისი თანამშრომლები და არა ის, თუ ვინ არიან ისინი.

საჯარო მომსახურებით სარგებლობისას რესპოდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაცია არ განუცდიათ. თუმცა, ბემბი იხსენებს „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობის ასაღებად საჭირო პროცედურების გავლისას ერთ-ერთი სამედიცინო კლინიკის თანამშრომელთა ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებას:

„როგორც კი გაიგებდნენ, რომ ტრანსი ვიყავი, საშინელება ხდებოდა... ანალიზე-

ბის ნაწილი ჟორდანიას კლინიკაში გავიკეთე. ზოგი ექიმი ნორმალურად შემხვდა, თბილადაც დამელაპარაკა, მაგრამ ზოგადად... ფაქტიურად ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი... შეურაცხყოფების კორიანტელი მომაყენეს... საბოლოო ჯამში რო დავფიქრდი, მთლად შეურაცხყოფაც არ იყო... ძალიან განიცდიდა ის (ერთ-ერთი ექიმი) ადამიანი ამ ყველაფერს.. „ჩემი შვილი რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყო არ ვიცი რას ვიზამდიო“... და რას იზამდით-მეთქი, ვკითხე: მოკლავდით, სახლიდან გააგდებდით-მეთქი? იქ იყო შეურაცხყოფელი რაღაცებიც, უბრალოდ არ მინდა ახლა გავიხსენო...“
(ბემბი, 27 წლის)

დასკვნა

მართალია, ტრანსგენდერი ადამიანების პრობლემებზე საუბარი ერთი კვლევითა და ერთი სტატიით არ ამოინურება, ჩვენ შევეცადეთ დეტალურად გადმოგვეცა ის საკითხები, რომლებიც ჩვენი რესპოდენტებისთვის არის აქტუალური. კვლევის შედეგად მიღებული მასალიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოში მცხოვრები ადამიანები ხშირად ხდებიან ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ძალადობის მსხვერპლი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე როგორც ოჯახის წევრების, ისე საზოგადოების მხრიდან. ორ, მკაფიოდ განსაზღვრულ გენდერზე აგებული სისტემა არ ტოვებს სივრცეს გენდერულად არაკონფორმული ადამიანების თვითგამოხატვისათვის; სქესის კვლავმინიჭების პროცედურა საჭიროებს გაუმჯობესებას და რეგულაციის მექანიზმის შემუშავებას; ტრანსგენდერთა საჭიროებები არაა გათვალისწინებული და ასახული სახელმწიფო პოლიტიკასა და პრაქტიკაში. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ამ ადამიანთა თვითაღქმაზე, თვითრეალიზაციის შესაძლებლობასა და ფინანსურ დამოუკიდებლობაზეც, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის ამ ადამიანების სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ღგ ღისკრიმინაციის კვლევა საქართველოში

ირაკლი ვაჭარაძე

კვლევის აღწერა

2012 წლის აპრილში ჩატარდა კვლევა ღგ ჯგუფის 150 წარმომადგენელთან. კვლევის მიზანი იყო იმ სოციალური გარემოს შესწავლა, რომელშიც ცხოვრობენ ჯგუფის წევრები. კვლევამ საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა თუ რამდენად ფართოდაა გავრცელებული დისკრიმინაცია ღგ ჯგუფის მიმართ სხვადასხვა სფეროში, რა ფორმის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას აქვს ადგილი და რა სიხშირით, იციან თუ არა ოჯახის წევრებმა მათი ორიენტაციის შესახებ, როგორ აფასებენ თავად ჯგუფის წევრები საზოგადოების დამოკიდებულებას მათ მიმართ და სხვ.

მეთოდოლოგია

კვლევისათვის გამოყენებული იყო სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისაგან¹. ანკეტაში გათვალისწინებული იყო ცალკე გრაფები ინციდენტების აღსაწერად. კითხვარი შედგებოდა რამდენიმე ბლოკისაგან, რომელიც 71 ქვეკითხვად იყო დაყოფილი. ამასთან, ზოგი მათგანი

¹ კითხვარი წარმოადგენს პოლონური ორგანიზაციების „Poland, Campaign Against Homophobia“ და „Lambda Warsaw Association“ მიერ შემუშავებული ანკეტის ადაპტირებულ ვარიანტს.

საშუალებას იძლეოდა რესპოდენტს აერჩია რამდენიმე პასუხი ერთდროულად (მაგ. ფიზიკური ძალადობის ფორმები ან ადგილი).

კითხვარი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ზოგადი მონაცემები (სქესი, ორიენტაცია, ასაკი, განათლება, ქალაქის/სოფლის სიდიდე, რომელშიც ცხოვრობს/ცხოვრობდა).
- ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება (ჰქონია თუ არა რესპოდენტს ასეთი გამოცდილება და რამდენად ხშირად); ფაქტის აღწერა (ვის მიერ, როდის და სად განხორციელდა ძალადობის ფაქტი); აცნობეს თუ არა ფაქტის შესახებ პოლიციას; თუ არ აცნობეს, რა იყო ამის მიზეზი და თუ აცნობეს, რა რეაგირება მოჰყვა ამას სამართალდამცავთა მხრიდან;
- ძალადობის ფაქტები სამუშაო ადგილზე: უარის თქმა დასაქმებაზე, დანინაურობაზე, გათავისუფლება ან სხვებთან შედარებით უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენება; სექსუალური ორიენტაციის დამალვა სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში თუ რესპოდენტი დასაქმებული იყო კვლევის პერიოდში;
- განსხვავებული/დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები (რესპოდენტის სექ-

სუალური ორიენტაციის შესახებ ცოდნის ან ეჭვის შეტანის საფუძველზე) მომსახურების სფეროში: ჯანდაცვისა და სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგ. ადგილობრივი ხელისუფლება, სასამართლო), საჯარო თავშეყრის ადგილები (მაგ. ბარი, კლუბი, ტრანსპორტი და სხვ.)

- ქამინ-აუთი ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან (ვინ იცის, ვინ იღებს რესპოდენტის იდენტობას, როგორ გაიგეს რესპოდენტის სექსუალური ორიენტაციის შესახებ); განიცდიან თუ არა ზენოლას ოჯახის წევრების/ნათესავების მხრიდან და რა ფორმითაა ეს ზენოლა გამოხატული.
- თავისუფლების განცდა პარტნიორის მიმართ გრძნობების გამოხატვის დროს საჯარო სივრცეში
- საზოგადოების დამოკიდებულებათა შეფასება ლგბტ ჯგუფის წევრთა მიმართ.

შერჩევის მოცულობა და შეზღუდვები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ლგბტ ჯგუფის 150-მა წარმომადგენელმა². კითხვარს წინასწარ დატრენინგებული ინტერვიუერები ავსებდნენ, რომლებიც ხვდებოდნენ რესპოდენტებს ლგბტ ჯგუფის თავშეყრის ადგილებში: „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისა“ და ორგანიზაცია „იდენტობის“ ოფისი, კლუბები, ბარები, ბინა და სხვ. 2 კითხვარი შეივსო skype-ს გამოყენებით. შერჩევის ამ მეთოდმა გავლენა მოახდინა რესპოდენტთა განაწილებაზე საცხოვრებელი ადგილისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა დედაქალაქის მაცხოვრებელია. ჩვენი მცდელობის მიუხედავად დაგვეფარა ყველა ასაკობრივი ჯგუფი 16-დან 60 წლის ჩათვლით, რესპოდენტთა უმეტესობა 18-25 და 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფშია გადანაწილებული³.

2 ტრანსგენდერებთან ჩატარდა ჩალმაკებული ინტერვიუები. შედეგები ცალკე სტატიის სახითაა შესული გამოცემაში.

3 ლგბტ ქომუნთის წევრები, რომლებიც 41-50 და 51-60 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან, არ სარგებლობენ

შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის მეშვეობით. გამოყენებული იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკური მეთოდები.

1. სიხშირეები და პროცენტები;
2. რეგრესიული და დისპერსიული ანალიზი.

ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე ყოველი მესამე რესპოდენტი, გამოკითხულთა 32% (N=48) ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. გამოკითხულთა 68%-მა (N=102) უარყო მსგავსი გამოცდილების არსებობა ან თავი შეიკავა ასეთი ფაქტების გამხელისაგან. იმ 48 რესპოდენტიდან, რომელსაც ფიზიკური ძალადობა გასული 24 თვის მანძილზე განუცდიდა, 60.87%-ს ეს მხოლოდ ერთხელ შეემთხვა, 17.39%-ს ორჯერ, ხოლო 21.74%-ს სამჯერ ან მეტჯერ.

იმ რესპოდენტების უმრავლესობა, ვისაც ფიზიკური ძალადობა განუცდიდათ გასული ორი წლის განმავლობაში, კაცია (N=33 კაცებისათვის და N=15 ქალებისათვის). გენდერული ფაქტორი ადამიანებზე ფიზიკური თავდასხმის ალბათობას აორმაგებს. თუმცა, ძალადობის სისტემატური გამოცდილება ორივე გენდერისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ კაცებმა, რომლებიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი გამხდარან, სწრაფად მოახდინეს საკუთარი ქცევის მოდიფიკაცია. შესაძლოა თავიდან ირიდებენ ისეთ სიტუაციებს, სადაც ძალადობის განმეორების ალბათობა დიდია, საკუთარი თავის ჰეტეროსექსუალულებად წარმოჩენის ტაქტიკას მიმართავენ ან/და სხვა მეთოდებით ნიღბავენ საკუთარ იდენტობასა და ქცევას.

ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები აღმოჩნდა ცემა (N=35), სექსუალური ზენოლა (N=7) და სექსუალური ძალადობა (N=6).

სოციალიზაციისა და ჯგუფის თავშეყრის იმავე ადგილებით, რითაც უფრო დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წევრები.

ფიზიკური ძალადობის რისკი მაღალია მეორე (18-26 წელი) ასაკობრივი ჯგუფისათვის, რომელშიც უფრო მეტი მსგავსი ინციდენტი დაფიქსირდა. მაშინ, როდესაც სხვა ასაკობრივმა ჯგუფებმა ძალადობის ნაკლები გამოცდილება გამოავლინეს, 16-18 წლის ასაკობრივი ჯგუფი უჩვენებს, რომ ამ ადამიანების მოზარდობიდან გამოსვლისთანავე მათ მიმართ ძალადობის ალბათობა იზრდება. ამასთან ერთად ჩვენთვის უცნობია, თუ რა დონეზე განიცდის ძალადობას მეოთხე (41-50) და მეხუთე (51-60) ასაკობრივი ჯგუფი იქიდან გამომდინარე, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელი რესპოდენტები არ მოიძებნა. ამგვარად, ძალადობის გაცხადების დაბალი მაჩვენებელი მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში მონაცემთა უქონლობით აიხსნება და არა მაინცდამაინც ასაკის მატებასთან ერთად ძალადობის სიხშირის რეალური დანევით. თუმცა, ზომიერი დაღმავალი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა მესამე ასაკობრივ ჯგუფთან (26-40) მიმართებაში და მიუთითებს, რომ ამ ჯგუფის ადამიანები ზრდასთან ერთად ნაკლებად ერთვებიან ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სადაც მათ შეიძლება მოულოდნელ ან წინასწარ განუსაზღვრელ რეაქციებსა და მიდგომებს გადაწყდნენ და ამგვარად, თავდასხმის რისკიც მცირდება.

კვლევის შედეგების მიხედვით, გეი კაცები ამ მხრივ უფრო დიდი რისკ ჯგუფია (N=21), განსაკუთრებით, როგორც უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, თუკი ისინი მე-2 და მე-3 ასაკობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ბისექსუალი კაცები (N=11) და ლესბოსელი ქალები (N=9) შემდეგი რისკ ჯგუფია, ხოლო ბისექსუალ ქალებსა (N=4) და ადამიანებს, რომლებსაც კითხვარში „სხვა“ აქვთ მონიშნული (N=3) ნაკლებად აქვთ ფიზიკური ძალადობის გამოცდილება.

ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები აღმოჩნდა ცემა 58,33% (N=35) და სექსუალური ზენოლა 11,67% (N=7). სექსუალურმა ძალადობამ და ზენოლამ იარაღის გამოყენებით ისევე, როგორც ძალადობის სხვა ფორმებმა (საკუთრების განადგურება, გაგუდვის მცდელობა, ნივთების სროლა, ბრძოლა, იარაღის გამოყენება თავდაცვის მიზნით და კარზე მიხეთქება და სხვ.) 10-10% შეადგინა (შესაბამისად N=6 თითოეულისთვის).

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფიზიკური ძალადობის თვალსაზრისით ქუჩა და პარკი ყველაზე საშიში ადგილია (45,83%), რადგან ყველაზე მძიმე ინციდენტები სწორედ იქ ხდება. სახლი რიგით მეორე საშიში ადგილი აღმოჩნდა ძალადობის მხრივ (18,75%), მესამე ადგილზეა ბარი/კლუბი (14,58%). 48 რესპოდენტიდან რომელიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო, 27,08%-მა მიმართა პოლიციას (N=13), მაშინ, როცა 72,92%-მა (N=35) აღნიშნა, რომ ასე არ მოქცეულა. რაც შეეხება მიზეზებს, რის გამოც დაზარალებულებმა არ მიმართეს პოლიციას, შემდეგია: 8 ადამიანმა განაცხადა, რომ მათი აზრით პოლიცია ასეთ შემთხვევებში არაეფექტურია, 11 რესპოდენტი პოლიციის ჰომოფობიურმა რეაქციამ დააფრთხო, მაშინ, როცა 10-მა არ ჩათვალა, რომ ინციდენტი საკმაოდ სერიოზული იყო, რათა პოლიციისათვის მიემართა. იმ ადამიანთა 46.15%, ვინც პოლიციას შეატყობინა, ინანა ასე რომ მოიქცა იქიდან გამომდინარე, რომ პოლიციელები ჰომოფობიურად მოექცნენ. რესპოდენტთა 30%-ს პოლიციისგან მეგობრული მოპყრობა შეხვდა, ხოლო 23.08%-მა განაცხადა, რომ მათ ნეიტრალურად მოექცნენ. საკმაოდ მაღალია ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი. გამოკითხულთა 89.33% (N=134) ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც გამხდარა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. საშუალოდ, 134 რესპოდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური თავდასხმა განუცდია, 75.37% (N=101) მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 11.94%-ს ორჯერ, ხოლო 12.69%-ს ერთხელ. ამ მონაცემებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თუკი ადამიანი ერთხელ აღმოჩნდა მონყვლადი, მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზენოლა არ ნყდება და ამ მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევას ცოტა თუ ახერხებს.

134 რესპოდენტიდან, რომელმაც განაცხადა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, ორივე სქესის გამოცდილება საკმაოდ ახლო აღმოჩნდა ერთმანეთთან - 64 იყო ქალი და 70 კაცი. თუმცა, სექსუალური ორიენტაციის პერსპექტივიდან, მდგომარეობა ასეთი ერთგვაროვანი არ არის. კროსტაბულაციის ანალიზი აჩვენებს, რომ 150 გამოკითხული ლგზ ადამიანიდან ყველაზე დიდი სტრესის ქვეშ გეები

იმყოფებიან (N=48). მათგან გამოკითხულთა თითქმის მესამედს განუცდია ფსიქოლოგიური ზენოლა. მათ მოსდევნენ ლესბოსელი (N=28) და ბისექსუალი ქალები (N=28).

ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა: 31,52%-მა (N=110) დაასახელა დამამცირებელი კომენტარები და დაცინვა, 24,36%-მა (N=85) დაასახელა სიტყვიერი შეურაცხყოფა, 21,20%-მა (N=74) ჭორების გავრცელება მათ შესახებ, 11,46%-ს (N=40) დაემუქრნენ, 7,74%-მა (N=27) მიიღო სიძულვილის ენის შემცველი წერილი 2,1% (N=7) შანტაჟის მსხვერპლი გახდა, 1,72%-ს (N=6) დაუზიანეს ქონება.

როდესაც საქმე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში პოლიციისათვის დახმარების თხოვნას ეხება, გამოკითხულთა 1%-იც კი არ ენდობა პოლიციას ან სხვაგვარად არის დემოტივირებული რომ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართოს.

ისევე, როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინების ყველაზე უფრო გავრცელებული ადგილი ქუჩა/პარკი აღმოჩნდა (N=115). რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გამოკითხულთათვის უცნობი ადამიანების მხრიდან თავდასხმა სხვა რისკებთან შედარებით ყველაზე დიდი რისკია. ეს ცხადყოფს იმას, თუ რამდენად დიდი პრობლემაა საჯარო უსაფრთხოება და საფრთხის შეგრძნება ლგბ ადამიანებისათვის ჩვენს სამიზნე ჯგუფში. ქუჩებთან ერთად, საჯარო ტრანსპორტი ასევე ის ადგილია, სადაც მოსალოდნელია ფსიქოლოგიური (N=32) და ფიზიკური თავდასხმა (N=5). ბარებს/კლუბებს ამ სიაში მესამე ადგილი უკავიათ, როგორც ფიზიკური ძალადობის მხრივ ყველაზე საშიშ (N=7) და ფსიქოლოგიური სტრესის გამომწვევ გარემოს (N=49).

ოჯახში ძალადობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია რესპოდენტებისთვის. გამოკითხულთა 27%-მა (N=41) განაცხადა, რომ მასზე სახლში ფსიქოლოგიური ძალადობა ხორციელდება (26 ქალი, 15 კაცი), ხოლო 7%-მა განაცხადა, რომ მათზე სახლში ფიზიკური ძალადობა ხორციელდება (5 კაცი, 6 ქალი).

ფსიქოლოგიური თავდასხმების წყაროს

წარმოადგენდნენ მეგობრები (N=61), კლასელები და ჯგუფელები (N=23), დედები (N=35), მეზობლები (N=23), თანამშრომლები (N=18). ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში წარმოდგენილი ადამიანები შემთხვევით არ აღმოჩნდნენ ფიზიკური მოძალადეები, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარემოებები, რომლებიც არ ხდის შესაძლებელს ფიზიკურ კონტაქტს, ან გარემოებები, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანებს შორის და ისეთ შეზღუდვებს აწესებს, როგორც არის დრო, ადამიანების ფიზიკური თავდასხმისაგან დასაცავად შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს. სანქციების შიში შეიძლება იყოს ერთ-ერთი ახსნა. მამები (N=19) და სხვა ოჯახის წევრები (N=28) ასევე სახელდებოდნენ, როგორც ფსიქოლოგიური სტრესის წყარო.

თუმცა, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წყარო ფსიქოლოგიური ძალადობისა, ის ჯგუფია, რომლის წარმომადგენლებსაც მსხვერპლები პირადად არ იცნობენ 31% (N=96). ეს გვეკარნახობს, რომ ლგბ ადამიანების ხანგრძლივი კონტაქტი მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან, საბოლოოდ მეტ მიმღებლობას იწვევს და ნაკლებ გაცხადებულ ფსიქოლოგიური ძალადობის დონესაც განაპირობებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოკითხულთაგან 79.33% (N=119) მუშაობდა, 20.67% (N=31) კი არსად უმუშავია. დასაქმებულთა უმრავლესობა (N=104) ამბობს, რომ არ აქვთ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის გამოცდილება ბოლო ორი წლის მანძილზე. ეს იმ ფაქტით აიხსნება, რომ მათი უმრავლესობა არათუ არ ამჟღავნებს ორიენტაციას სამსახურში, არამედ პრაქტიკულად „ჰეტეროსექსუალობას თამაშობს“. 42.37% (N=50) ამბობს, რომ სამუშაო ადგილზე საკუთარ ორიენტაციას მაღავს, დანარჩენი 42.37% – შერჩევით ამხელს და მხოლოდ 15.25%-ა ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

150 რესპოდენტიდან 19 ინდივიდი ამბობს, რომ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელი არ მიუწვდება, 39 მონაწილე თვლის, რომ მისთვის ეს მომსახურება ხელმისაწვდომია, 92-ს კი პასუხი არა აქვს ამ შეკითხვაზე (ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რე-

სპოდენტს არ დასჭირვებია სამედიცინო მომსახურება ბოლო ორი წლის მანძილზე).

ყველა, ვინც აცხადებს, რომ სამედიცინო დახმარების ობიექტებში დისკრიმინაციას წააწყდა, ამბობს, რომ ეს ფსიქოლოგიური ტიპის ძალადობა იყო. ამგვარად, დისკრიმინაციის ყველა ობიექტი სულ მცირე მსგავსი ტიპის დისკრიმინაციას გადაწყდომია სამედიცინო ობიექტებში.

150-დან 62 რესპოდენტს აქვს დისკრიმინაციის გამოცდილება მომსახურების სფეროში (37 რესპოდენტს დისკრიმინაცია არ განუცდიდა, ხოლო 50 რესპოდენტს პასუხი არ აქვს) ეს მაჩვენებელი თანაბრად არის გადანაწილებული თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

კვლევამ აჩვენა, რომ მომსახურების სფეროში ყველაზე მეტად გვიკაცები განიცდიან დისკრიმინაციას (N=20), შემდეგ მოდის ლესბოსელ ქალთა ჯგუფი (N=16). რაც შეეხება ბისექსუალ ქალებსა (N=11) და მამაკაცებს (N=9), მათ შორის განსხვავება პრაქტიკულად არაა. მათ შორის, ვინც ორიენტაციის გრაფაში პასუხი „სხვა“ მონიშნა, 4-მა აღნიშნა, რომ აქვს ამგვარი გამოცდილება მომსახურების სფეროში. ლგბ ქომუნითის წევრები მომსახურების სფეროში დისკრიმინაციას ყველაზე ხშირად საზოგადოებრივ ტრანსპორტში აწყდებიან (N=49). სიხშირის თვალსაზრისით, მომდევნო ადგილზე ბარები/კლუბები (N=29) და მაღაზიები (N=21). იშვიათია დისკრიმინაციის გამოცდილება სახელმწიფო ინსტიტუტებში (N=5). გასაკვირი არაა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობისა და მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილების მქონე ინდივიდები ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ. ფსიქოლოგიური ძალადობის 61 მსხვერპლი შედის იმ 62 ინდივიდში, რომელმაც დისკრიმინაცია მომსახურების სფეროში განიცადა. იმათ, ვისაც ფსიქოლოგიური ძალადობა არ განუცდიათ, მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილების სამჯერ ნაკლები მაჩვენებელი აქვთ (28:9 ratio).

150 რესპოდენტიდან, მხოლოდ 28-მ აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია რელიგიურ ინსტიტუტებში განიცადეს. მონაწილეთა უმრავლესობას ეკლესიასთან შეხება არ აქვს და შესაბამისად,

მათ კითხვაზე პასუხი არ გაუციათ (N=112). მათ შორის არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის ან ორიენტაციის ჯგუფების თვალსაზრისით.

მთლიანობაში, მონაწილეთა 34,67%-ს აქვს გაკეთებული ქამინ-აუთი დედასთან, 30,67%-ს ბიძაშვილებთან, 20,67%-ს დებთან, 12,67%-ს მამასთან, 12,67%-ს ძმებთან, 8%-ს დეიდასთან, 7,33%-ს ბიძასთან, 6%-ს ბებია-ბაბუასთან და მხოლოდ 0,67%-ს ბავშვებთან (1 ადამიანი).

გამოკითხულთა მესამედზე მეტი 36% (N=54) ამბობს, რომ საკუთარი სექსუალური ორიენტაცია მთლიანად დამალული აქვს ოჯახისა და ნათესავებისგან. ამასთან, კაცები უფრო მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას (N=29), ვიდრე ქალები (N=25).

გამოკითხულთა 56% (N=84) ერთხელ მაინც გამხდარა ოჯახის წევრთა/ნათესავთა მხრიდან ზენოლის მსხვერპლი. ზემოჩამოთვლილთაგან ზენოლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა კრიტიკა ჩაცმულობის, ქცევის, ცხოვრების წესის გამო – 48,67% (N=73). გამოკითხულთა 26% (N=39 ინდივიდი) ამბობს, რომ ის ძალით დააქორწინეს, ან განიცდიდნენ ზენოლას იმის გამო, რომ არ არიან დაქორწინებულნი. რესპოდენტთა თითქმის მეხუთედს 18%-ს (N=27) უკრძალავენ მეგობართან კონტაქტს. 11 მონაწილე სახლში იძულებით იზოლაციას განიცდიდა და 11 რესპოდენტს ოჯახის მხრიდან ეკონომიკური ზენოლის გამოცდილება ჰქონდა (7-7%). ასაკობრივმა ჯგუფებმა მონაცემებში სხვაობა არ მოგვცა, მაგრამ სხვაობაა ბიოლოგიური სქესის ჯგუფებს შორის (48 ქალი, 36 კაცი). ორიენტაციის მიხედვით, ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები უფრო მეტად განიცდიან ფსიქოლოგიურ ზენოლას მათი ოჯახების მხრიდან, ვიდრე კაცები. ეს ვრცელდება ყველა ასაკობრივ ჯგუფზე (N=40 ჯამში, 21 ლესბოსელი, 19 ბისექსუალი ქალი).

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ როგორ აღიქვამენ ლგბტ თემის წევრები საკუთარ თავს საზოგადოებაში. რესპოდენტებს ჰკითხეს, თუ როგორია საზოგადოების მხრიდან ლგბტ ინდივიდების მიმართ ზოგადი დამოკიდებულება. რესპოდენტთა 60,67% თვლის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ლესბოსე-

ლი და ბისექსუალი ქალების მიმართ ნეგატიურია, 26% ფიქრობს, რომ დამოკიდებულება ნაწილობრივ ნეგატიურია, 8% ფიქრობს, რომ დამოკიდებულება უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური. გამოკითხულთა მხოლოდ 1,33% მიიჩნევს, რომ დამოკიდებულება პოზიტიურია, 4%-მა კი არ იცის.

რაც შეეხება გეი/ბისექსუალ კაცებს, გამოკითხულთა 86,67% თვლის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება გეი და ბისექსუალი კაცების მიმართ ნეგატიურია, 11,33% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ ნეგატიურია, მხოლოდ 0,67% ანუ 1 რესპოდენტი თვლის, რომ საზოგადოება ნაწილობრივ პოზიტიურადაა განწყობილი გეი და ბისექსუალი კაცების მიმართ, 2-ს კი პასუხი არ აქვს.

გამოკითხულთა 84,84% მიიჩნევს, რომ საზოგადოება ნეგატიურადაა განწყობილი ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, 8,67% ფიქრობს რომ დამოკიდებულება ნაწილობრივ ნეგატიურია, 3,33%-ს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ პოზიტიურია, ხოლო 4% არ არის დარწმუნებული.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოცდილების ფაქტორი ძლიერ კავშირში იყო, მაგრამ წინასწარ არ განსაზღვრავდა, შედეგებს სოციალური დამოკიდებულებების მაჩვენებლებთან დაკავშირებით. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ გამოცდილებაში ფიზიკური ძალადობის არარსებობა ნეგატიურ კორელაციას ქმნის ინდივიდის წარმოდგენასთან იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ტრანსგენდერი ადამიანების ჯგუფის მიმართ საზოგადოებას. ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი, როგორც ჩანს უფრო გათვითცნობიერებულნი არიან ლბ ქალთა და ტრანსგენდერ ადამიანთა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ნაკლებად იცნობენ გბ კაცთა მდგომარეობას.

საზოგადოების მხრიდან ძალადობისა და შევიწროვების თავიდან ასაცილებლად, ლგბტ ქომუნითის წევრები ხშირად ერიდებიან გრძნობების საჯაროდ გამოხატვას. მთლიანობაში, გამოკითხულთა 47.3% ყოველთვის გაურბის გრძნობების საჯაროდ გამოხატვას, 37.3% ზოგჯერ იქცევა ასე, მხოლოდ 6.67% არ მალავს, ხოლო 8,67%-ს პარტნიორი არ ჰყოლია და მსგავსი საჭიროება არ უგრძნია.

საზოგადოდ გრძნობების გამომჟღავნებას ყველაზე მეტად გეი კაცები გაურბიან (N=35). 9 რესპოდენტიმ აღნიშნა, რომ ზოგჯერ გაურბის გრძნობების გამომჟღავნებას და მხოლოდ 2 გეი კაცი აღნიშნავს, რომ შეუძლიათ ხელისხელჩაკიდებულად სიარული და პარტნიორის საჯაროდ კოცნა. 10 ბისექსუალი კაცი ყოველთვის მალავს, 5 ნაწილობრივ მალავს და 2 საერთოდ არ მალავს ემოციას.


საკუთარ სასიყვარულო ემოციებს ყოველთვის მალავს 13 ლესბოსელი და 9 ბისექსუალი ქალი, 15 ბისექსუალი და 18 ლესბოსელი ქალი ნაწილობრივ მალავს და 4 ბისექსუალი ქალი და 1 ლესბოსელი ქალი არ ცდილობს დამალოს.

მათგან, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ფიზიკური ძალადობის გამოცდილება (N=48), 25 ყოველთვის მალავს, 15 – ხანდახან, 6 – არ მალავს, 2-ს კი პარტნიორი არ ჰყავს. რაც შეეხება ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილებას: 134-დან 65 ყოველთვის მალავს, 50 ხანდახან, 8 არ მალავს, 11-ს კი არ ჰყავს პარტნიორი.

შერჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რომელიც ჯგუფის სპეციფიკას უკავშირდება არ იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას ქვეყნის მასშტაბით, თუმცა იძლევა გარკვეულ ინფორმაციას იმ დისკრიმინაციული პრაქტიკების/გამოცდილებების შესახებ, რაც კვლევაში მონაწილე ადამიანებს აქვთ. ეს ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ ცხადი გავხადოთ თუ სად და რა ტიპის პრობლემებს აწყდებიან ლგბტ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგები შეგვახსენებს, რომ სექსუალურ ორიენტაციაზე/გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც რეაგირებას მოითხოვს როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან. ■

ზოგადი მონაცემები


დიაგრამა 1. რესპოდენტთა რაოდენობრივი განაწილება ბიოლოგიური სქესის მიხედვით (N=150)



გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 150-მა რესპოდენტმა. გამოკითხულთაგან, 76-მა გრაფაში „ბიოლოგიური სქესი“ მიუთითა „ქალი“, 74-მა „კაცი“. პასუხი „სხვა“ არავის აურჩევია. ამგვარად, მიღებულ პასუხთა ჯამი მცირედად გადახრის პასუხთა ოდენობას ქალთა სასარგებლოდ, მაგრამ თითქმის დაბალანსებულია ბიოლოგიური სქესის კატეგორიების მიხედვით. ქვემოთ მოყვანილ ანალიზში, იქ, სადაც სქესთა შორის პასუხში განსხვავებები შეინიშნებოდა, პასუხები შესაბამისად დავყავით და ბიოლოგიური სქესის მიხედვით წარმოვადგინეთ.

დიაგრამა 2. რესპოდენტთა პროცენტული განაწილება სექსუალური ორიენტაციის მიხედვით (N=150)

მოპასუხეთა მთლიანი ოდენობიდან (N=150), 7-მა მონიშნა პასუხი „არ მაქვს გადანყვეტილი“, 9 ადამიანმა თქვა, რომ მათ „სხვა“ სექსუალური



ორიენტაცია აქვთ, ვიდრე „ლესბოსელი“ (N=34), „ბისექსუალი ქალი“ (N=32), „გეი“ (N=49) ან „ბისექსუალი კაცი“ (N=19).


გამოკითხულ კაცებში ერთი რომელიმე განსაზღვრული სექსუალური ორიენტაციის მიმართ მიკუთვნება უფრო რიგიდული აღმოჩნდა, ვიდრე გამოკითხულ ქალებში. მიღებული შედეგებით, გეი რესპოდენტები ყველაზე წარმომადგენლობითი ქვეჯგუფია სექსუალური ორიენტაციის სპექტრზე წარმოდგენილ სოციალურ ჯგუფთაგან. გამოკითხულთა თითქმის მესამედი, 32.67% გეია, ლესბოსელები 22.67%-ს წარმოადგენენ, მათ მჭიდროდ მოყვებიან ბისექსუალი ქალები 21.33%.

ურთიერთმიმართება რესპოდენტთა ბიოლოგიურ სქესსა და სექსუალურ ორიენტაციას შორის სრულყოფილი სანდოობით გვაჩვენებს, რომ ბიოლოგიური სქესი მყარად წინასწარმეტყველებს რესპოდენტთა სექსუალურ ორიენტაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რესპოდენტი თავს „ქალად“ ან „კაცად“ მიიჩნევდა, მეტად სავარაუდო იყო მყარი გენდერული იდენტობაც გამოეკვლინა და თავი გეი ან ბისექსუალ კაცად ან ლესბოსელ ან ბისექსუალ ქალად მიეჩნია.

დიაგრამა 2 აჩვენებს, რომ 7 რესპოდენტი არ იყო ჩამოყალიბებული სექსუალურ ორი-

ენტაციასთან დაკავშირებით და 9-მ არც ერთ კატეგორიას არ მიაკუთვნა თავი. „სხვა“ უმეტეს წილად გაიგება როგორც „ქვიარი“ ან „სხვა“ ჯგუფისადმი მიკუთვნება.¹ მიღებულ შედეგებს შეიძლება ჰქონდეთ გავლენა მომავლის მსჯელობაზე, რომელიც იდენტობის პოლიტიკის თაობაზე გაიმართება. ამჟამად, მხოლოდ ზედაპირული მსჯელობა შეგვიძლია იმაზე, რომ მკაცრად განსაზღვრულ სექსუალური ორიენტაციის ჯგუფისადმი მიკუთვნების ხარისხი მაღალია და მყარად ნაწინასწარმეტყველები ბიოლოგიური სქესით. გენდერსა და სქესს შორის ეს რიგიდული ურთიერთმიმართება ასევე შეიძლება აიხსნას შერჩევის გადახრით: ინტერვიუერები უპირველესად ეძებდნენ რესპოდენტებს სექსუალური ორიენტაციის მიხედვით (რადგან წინასწარ იყო მათთვის ცნობილი რომ მონაცემები ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ა.შ. ადამიანებისგან უნდა მოეძიებინათ). მონაცემები რომ ტრანსგენდერი ინდივიდების ინტერვიუებით ყოფილიყო შევსებული, სქესსა და გენდერს შორის თანაფარდობა სულ სხვა, მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანდა მიღებულ მონაცემებში.

დიაგრამა 3. რესპოდენტთა რაოდენობრივი განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (N=150)



ასაკობრივი კატეგორიები მოიცავდა ჯგუფებს 18 წლამდე, 18-25 წლამდე, 26-40 წლამდე, 41-50 წლამდე, 51-60 წლამდე და 60 წლის ზემოთ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ განზრახვისა და მცდელობის მიუხედავად – მოგვეცვა ყველა ასაკობრივი ჯგუფი – მხოლოდ 1 მონაწილის მოძიება მოხერხდა 60 წლის ზემოთ. ასევე, ვერ


¹ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღიათ ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებთანაც ჩარღმავებული ინტერვიუები ჩატარდა და რომლის შედეგებიც ცალკე სტატიის სახითაა შესული კრებულში.

მოვახერხეთ მოგვეძიებინა პასუხები ასაკობრივი კატეგორიისათვის 41-50 და 51-60 წლის შუალედში. ეს გარკვეულწილად აიხსნება იმითაც, რომ რთულია ამ ასაკობრივ ჯგუფებში მონაწილეების მოძიება და დათანხმება კვლევაში მონაწილეობაზე: ლგბტ ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა წნეხს გაუძლეს, მასიურად ტოვებდნენ დამოუკიდებელ საქართველოს 1990-იან წლებში დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ ემიგრაციული ტალღის დროს. ისინი უკეთესი შესაძლებლობების ძიებამ ემიგრანტებად აქცია. ხოლო ვინც დარჩა, ისინი კიდევ უფრო ჩაკეტილ დემოკრატიული ცვლილებების მიმდინარე პერიოდში, რამაც ქვიარობის საკითხების მეტი საჯაროობა მოიტანა და უფრო აშკარა გახადა სიძულვილი ლგბტ ჯგუფთა წარმომადგენლების მიმართ. ზედა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები იშვიათად სარგებლობენ სოციალური თავშეყრის ადგილებით, სადაც მათ ჩვენი ინტერვიუერები ადვილად შეარჩევდნენ გამოკითხვისთვის. ეს მდგომარეობა კვლევის შერჩეული მეთოდოლოგიის ნაკლოვანებად უნდა ჩათვალოს. თავად ინტერვიუერთა უმრავლესობა ახალგაზრდაა და ნაკლები ალბათობით აქვთ კონტაქტები ან წვდომა უფროსი თაობის ლგბტ ადამიანებთან. თუმცა, მიუწვდომლობის უმთავრესი მიზეზი, ემიგრაციასა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების ნაკლები სოციალიზაციის მიღმა, იმაში მდგომარეობს რომ უფროსი თაობის ლგბტ ადამიანები ერიდებიან ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან სოციალიზაციას: ისინი ნაკლებად სტუმრობენ იმ მცირერიცხოვან „ლგბტ მეგობრულ“ კაფე-ბარებსა და კლუბებს, სადაც ახალგაზრდები უფრო ხშირად იკრიბებიან თბილისში. ეს ადამიანები, როგორც წესი პარტნიორულ ურთიერთობაში იმყოფებიან და მეტად არიან მიდრეკილნი ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ ან უბრალოდ იცილებდნენ სოციალურ კონტაქტებს და ცხოვრობდნენ შეკრულ, გარე პირთათვის დახურულ თემებში, რომლებიც ადვილად ამოსაცნობი და მისადგომი არაა.

ამგვარად, ეს ანგარიში ასახავს ახალგაზრდა და შუა ასაკობრივი ჯგუფის ლგბტ თემების მდგომარეობას. გამოკითხულთა 4.67% (N=7)

იყო 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან, რაც მიღებული შედეგების ყველაზე მცირეწლოვან გამოცდილებებზე გადახრის განმარტობებელი ვერ გახდება. პასუხების და შესაბამისად, შედეგების ოდენობა, რომლებიც 18-25 (49.33%) და 26-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში მივიღეთ (45.33%), თითქმის სრულყოფილ ნახევრებს წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 18-25 წლამდე 75 ლგბ ადამიანი, ხოლო 68 რესპოდენტი 26-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა.


დიაგრამა 4. რესპოდენტთა პროცენტული განაწილება ამჟამინდელი საცხოვრებელი ქალაქის ზომის მიხედვით (N=150)



მე-4 დიაგრამა წარმოადგენს კითხვარის სტანდარტულ ნაწილს, რომელიც ევროპის ყველა ქვეყანაში გამოიყენება ამ გამოკვლევის ფარგლებში. თუმცა, რადგან საქართველო მცირე ზომის სახელმწიფოა, კითხვაზე მიღებული პასუხები სამართლიან შედეგებს არ გვაძლევს. საქართველოში ცოტაა ქალაქთა ისეთი ოდენობა, სადაც მოსახლეობა თანაბრად იქნებოდა გადანაწილებული: საქართველოს ყველაზე დიდ ქალაქს 1.250.000-ზე მეტი მოსახლე ყავს, როდესაც ზომით მომდევნო ქალაქ ქუთაისს 250.000-ზე ნაკლები (საქართველოს მოსახლეობა ჯამში 4.500.000). ამ უკიდურესად უთანაბრო გადანაწილებიდან გამომდინარე, რასაც ქვეყნის შიდა-მიგრაციული ტენდენციებიც აძლიერებენ, რომლებიც განსაკუთრებით ლგბტ თემების წარმომადგენლების მიმართ არის მართალი, გასაკვირი არ უნდა იყოს თუ გამოკითხულთა შთამბეჭდავი უმრავლესობა 94% (N=141) ამჟამად დედაქალაქს უთითებს საცხოვრებელ ადგილად. კითხვაში შკალაზე სხვა ვარიანტებს თი-

თოს თითო პასუხი ჰქონდა, ხოლო პასუხი „100 000-499 999“ გამოკითხულთა 4.67%-მა (N=7) მიუთითა.

დიაგრამა 5. რესპოდენტთა პროცენტული განაწილება ქალაქის ზომის მიხედვით, სადაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარეს (N=150)




რესპოდენტებს ასევე ვეკითხებოდით წარსული საცხოვრებელი ადგილის შესახებ. კითხვის მიზანი თემის მიგრაციის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღებაა. გამოირკვა, რომ გამოკითხულთაგან, მხოლოდ 126 ინდივიდს გაუტარებია ცხოვრების უმეტესი ნაწილი დედაქალაქში, რაც მთლიანობაში რესპოდენტთა 84% შეადგენს. ჯგუფმა, რომელმაც მანამდე მიუთითა რომ 100 000-499 999 მოსახლისგან შემდგარი დასახლებიდან იყო, საკუთარი წილობრივი მონაწილეობა 4.67%-დან 10.67%-მდე გაზარდა. შერჩევის შეზღუდვის, ასევე რეგიონებში ლგბტ ადამიანთა მისანვლომობის განსაკუთრებული სირთულის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია მიღებული შედეგები სიტუაციის ეროვნული კვლევის შედეგებზე ცალმხრივად გამოვაცხადოთ. რასაც გეოგრაფიული განაწილება გვიჩვენებს, ისაა რომ დედაქალაქის მთლიანი ლგბტ მოსახლეობიდან, ის ადამიანები ვინც ყველაზე მდიდარ სოციალურ კავშირებს ფლობს და ინტერვიუებისთვის უმთავრესად ხელმისაწვდომნი არიან, მათი დაახლოებით 12%-ს უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საცხოვრებელი ჰქონდა გამოცვლილი და თბილისში იყო საცხოვრებლად გადმოსული. თუმცა, ამ ეტაპზე გადმოსვლის მიზეზები უცნობია.

ჩვენ ჩავატარეთ თანაფარდობის ტესტი, მაგრამ მან არ აჩვენა მნიშვნელოვანი თანაფარდობა რომელიმე ასაკობრივ ჯგუფსა და

უნინდელ საცხოვრებელს შორის. ამგვარად, არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეს ინდივიდები საგანმანათლებლო მიზნებით გადავიდნენ თბილისში, ოჯახთან ერთად შეიცვალეს საცხოვრებელი თუ სხვა მიზეზის გამო.

დიაგრამა 6. რესპოდენტთა პროცენტული განაწილება განათლების დონის მიხედვით (N=150)



ცხრილი 6 წარმოადგენს გამოკითხული 150 ლგბტ ინდივიდის მიერ მიღწეულ ფორმალური განათლების საფეხურს. ამ კონკრეტულ თემში, უმაღლესი განათლების მქონენი სჭარბობენ 43.24%. 64 რესპოდენტი აცხადებდა, რომ ბაკალავრის ან მისი ექვივალენტის საფეხური გაიარა, დამატებით 23.65% კი უთითებდა არასრული უმაღლესი განათლების საფეხურის შესახებ, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ იმგვარად, რომ უმთავრეს შემთხვევაში საქმე ამჟამად სტუდენტის სტატუსის მქონე პირებთან გვექონდა (N=35). ზომის მიხედვით მესამე ჯგუფს სამაგისტრო და სადოქტორო და პოსტ-დოქტორანტურის ხარისხის მქონე პირები წარმოადგენენ: 32 ინდივიდი, რაც მთლიანად გამოკითხულთა 21.62% შეადგენდა. გამოკითხულთა შორის, განათლების მიხედვით ყველაზე მცირე ჯგუფი 11.49%-ით (N=17) საშუალო სკოლადამთავრებულები არიან. მიღებული შედეგი არ უნდა გვაკვირვებდეს, რადგან ტრადიციულად, საქართველოში განათლებას ღირებულად მიიჩნევა, რომელსაც ყველა სახის და ინტერესის მქონე ადამიანი, თუნდაც ფორმალურად მაინც, ესწრაფვის. საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, აქვთ თუ არა ქართველ ლგბტ პირებს ფორმალური განათლების მიღწევის ისეთივე მაჩვენებელი, როგორც მათ არა-ლგბტ თანატოლებს. ეს სამომავლო კვლევის

საკითხად შეიძლება იქცეს. ჩვენს მიერ ჩატარებულმა თანაფარდობის ტესტმა აჩვენა, რომ 150-დან 148 ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ბმა არსებობს ასაკსა და განათლებას შორის. რაც მაღალია ასაკი, მით მეტად იზრდება საგანმანათლებლო მისწრაფებები თითქმის ყველა გამოკითხულს შორის. ეს მისასაღმებელი ტენდენციაა და შესაძლოა ამ ჯგუფის თვითგადარჩენის ტაქტიკასა და გამძლეობაზე მიუთითებდეს, თუმცა ეს შემოთავაზება ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდს ემყარება და ასევე შესაძლოა გახდეს მომავალი კვლევის საგანი.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური კალაძობის გამოცდილება

კვლევის დაშვება ის გახლავთ, რომ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების მიმართ ფიზიკური ძალადობა გავრცელებული პრაქტიკაა, რომელიც თითქმის არ არის აღრიცხული.


ლგბტ ადამიანებზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს და ისეთი მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მსხვერპლის ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვა გამოიწვიოს.

ფსიქოლოგიური ძალადობა გაგებულია, როგორც სიტყვიერი თავდასხმა, რომელმაც შეიძლება მსხვერპლში – ჩვენს შემთხვევაში ლგბტ ადამიანებში – სტრესი, დანაშაულის გრძნობის განვითარება, თვითფიქტიმიზაცია, დეპრესია, ჩაკეტილობა ან პანიკა გამოიწვიოს.

ფიზიკური კალაძობა


დიაგრამა 7. ფიზიკური ძალადობის გამოცდილების პროცენტული განაწილება ლგბტ ჯგუფში (N=150)

დიაგრამა 7 ასახავს ფიზიკური ძალადობის გამოცდილებას ბოლო ორი წლის მანძილზე. კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: ბოლო ორი წლის განმავლობაში გამხდარხართ თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იმის გამო, რომ ვინმემ იცოდა ან ეჭვი ჰქონდა რომ მიეკუთვნებით ლგბტ ჯგუფს? (ცემა, ხელის



კვრა, ნაქცევა, წიხლის ამორტყმა; ფიზიკური ძალადობა იარაღის გამოყენებით; სექსუალური ზენოლა; სექსუალური ძალადობა (გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა); სხვა.). გამოკითხულთა თითქმის მესამედმა ნაწილმა, 32%-მა (N=48) განაცხადა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის ფორმებიდან ერთ-ერთი მათგანს განუცდიდა, მაშინ როცა 68%-მა (N=102) ან უარყო მსგავსი ფაქტები ან მათი გამხელა არ მოისურვა.


დიაგრამა 8. ფიზიკური თავდასხმის სიხშირის პროცენტული განაწილება (N=48)



იმ 48-იდან, რომელსაც განუცდია ფიზიკური ძალადობა გასული 24 თვის მანძილზე, 60.87%-ს ეს მხოლოდ ერთხელ შეემთხვა, 17.39%-ს ორჯერ, ხოლო 21.74%-ს სამჯერ ან მეტჯერ.

დიაგრამა 9. ფიზიკური თავდასხმის სიხშირე რესპოდენტთა სქესის მიხედვით (N=48)

დიაგრამა 9 აჩვენებს, რომ იმ რესპოდენტების უმრავლესობა, ვისაც ფიზიკური ძალადობა განუცდიათ გასული ორი წლის განმავლობაში, კაცია. გამოკითხულ ჯგუფში, ქალებთან შედარე-




ბით უფრო მეტ კაცს განუცდია ერთი თავდასხმა მაინც (N=33 კაცებისათვის vs. N=15 ქალებისათვის). გენდერული ფაქტორი ადამიანებზე ფიზიკური თავდასხმის ალბათობას აორმაგებს. თუმცა, ნახაზი ასევე ცხადყოფს, რომ ძალადობის სისტემატური გამოცდილება ორივე გენდერისთვის არის დამახასიათებელი. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ კაცებმა, რომლებიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი გამხდარან, სწრაფად მოახდინეს საკუთარი ქცევის მოდიფიკაცია. კერძოდ, ეს შესაძლოა ხდებოდა იმით, რომ თავიდან ირიდებენ ისეთ სიტუაციებს, სადაც ძალადობის განმეორების ალბათობა დიდია, საკუთარი თავის ჰეტეროსექსუალულებად წარმოჩენის ტაქტიკას მიმართავენ ან/და სხვა მეთოდებით ნიღბავენ საკუთარ იდენტობასა და ქცევას.

თუმცა, ძალადობის აღრიცხულ შემთხვევებში გამოკვეთილი სქესთა შედარებით ბალანსი შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძალადობა გარდაუვალია, აგრესორები თავდასხმის სამიზნეს სქესის მიხედვით არ ირჩევენ და კაცებს ქალებზე მეტ „უპირატესობას“ არ ანიჭებენ. ამგვარად, ჩვენ შევამოწმეთ დაშვება, რომლის მიხედვითაც, ძალადობის მსხვერპლ პირებს (სავარაუდოდ მათი სექსუალური ორიენტაციის ძლიერი იდენტიფიკატორების გამო) სქესობრივი მიკუთვნებულობის მიუხედავად, აგრესორების მხრიდან ძალადობის მოზიდვის ერთნაირი შანსი ჰქონდათ. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის ბიოლოგიური სქესი უარყოფითად იყო თანაფარდი თავდასხმების სიხშირესთან, თუმცა, მისი სტატისტიკურად ნაკლებმნიშვნელოვნობის გამო ეს აღმოჩენა უნდა უკუვადგოთ. უარყოფითი თანაფარდობა იყო ფიზიკური ძალადობის ზოგად გამოცდილებასა და რესპოდენტის ბიოლოგიურ სქესს შორის, რაც ადასტურებს მე-9 გამოსახულებაზე

წარმოდგენილ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც უფრო დიდი იყო იმის ალბათობა, რომ 150 ლგბ ადამიანისაგან შემდგარ სამიზნე ჯგუფის წევრებს ფიზიკური ძალადობა განეცადათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის გენდერული იდენტობა წარმოადგენს მის მიმართ პოტენციური ძალადობის უარყოფით მსაზღვრელს. ამ შედეგების მიხედვით, ასევე შეგვიძლია ვარაუდის გამოთქმა, რომ გენდერული იდენტობის ფაქტორის მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდება თავდასხმების სიხშირის მომატებასთან ერთად. თუმცა, პასუხების მცირე რაოდენობის გამო, ეს აღმოჩენა, დამატებითი კვლევის გარეშე, ამ ეტაპზე მხოლოდ ზეპირი მსჯელობის საგანია და სტატისტიკურად უმნიშვნელოა.


დიაგრამა 10. ფიზიკური ძალადობის გამოცდილების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (N=48)



ასაკი ძალადობის ძლიერი განმსაზღვრელია. მე-10 დიაგრამა გვიჩვენებს, რომ ფიზიკური ძალადობის რისკი მაღალია მეორე (18-25 წელი) ასაკობრივი ჯგუფისთვის, რომელშიც უფრო მეტი მსგავსი ინციდენტი დაფიქსირდა. მაშინ, როდესაც სხვა ასაკობრივმა ჯგუფებმა ძალადობის ნაკლები გამოცდილება გამოავლინეს, 16-18 წლის ასაკობრივი ჯგუფი უჩვენებს, რომ ამ ადამიანების მოზარდობიდან გამოსვლისთანავე მათ მიმართ ძალადობის ალბათობა იზრდება. ამასთან ერთად ჩვენთვის უცნობია, თუ რა დონეზე განიცდიან ძალადობას მეოთხე (41-50) და მეხუთე (51-60) ასაკობრივი ჯგუფი იქიდან გამომდინარე, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელი რესპოდენტები არ მოიძებნა. ამგვარად, ძალადობის გაცხადების დაბალი მაჩვენებელი მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში

მონაცემთა უქონლობით აიხსნება და არა მაინცდამაინც ასაკის მატებასთან ერთად ძალადობის სიხშირის რეალური დაწვეით. თუმცა, ზომიერი დაღმავალი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა მესამე ასაკობრივ ჯგუფთან (26-40) მიმართებაში და მიუთითებს, რომ ამ ჯგუფის ადამიანები ზრდასთან ერთად ნაკლებად ერთვებიან ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სადაც მათ შეიძლება მოულოდნელი ან წინასწარ განუსაზღვრელ რეაქციებსა და მიდგომებს გადაწყდნენ და ამგვარად თავდასხმის რისკიც მცირდება.


დიაგრამა 11. ფიზიკური ძალადობის გამოცდილების რაოდენობრივი განაწილება ფორმების მიხედვით (N=60)



ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები აღმოჩნდა ცემა 58,33% (N=35) და სექსუალური ზენოლა 11,67% (N=7). სექსუალურმა ძალადობამ და ზენოლამ იარაღის გამოყენებით ისევე, როგორც ძალადობის სხვა ფორმებმა (საკუთრების განადგურება, გაგუდვის მცდელობა, ნივთების სროლა, ბრძოლა, იარაღის გამოყენება თავდაცვის მიზნით და კარზე მიხეთქება და სხვ.) 10-10% შეადგინა (შესაბამისად N=6 თითოეულისთვის). როდესაც რესპოდენტებს აგრესორების იდენტობის შესახებ ვკითხეთ, 8 შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ძალადობის ინიციატორი მეგობარი ან ნაცნობი იყო; 3 შემთხვევაში კლასელი ან ჯგუფელი, 3 შემთხვევაში მეზობელი, 2 შემთხვევაში დედა, 4 შემთხვევაში მამა, ერთ შემთხვევაში ოჯახის სხვა წევრი და 2 შემთხვევაში სხვა. 3 შემთხვევაში რესპოდენტებმა განაცხადეს, რომ თავდამსხმელი პოლიცია იყო. თუმცა უმეტეს შემთხვევაში 56,7% (N=34), გამოკითხული ადამიანები საერთოდ ან საკმარისად ახლოს არ


იცნობდნენ თავდამსხმელებს იმისათვის, რომ იდენტიფიცირებისათვის ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიაში მოექციათ ისინი.

დიაგრამა 12. ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობრივი განაწილება ძალადობის განხორციელების ადგილის მიხედვით (N=48)



ჩვენ ასევე ვთხოვეთ რესპოდენტებს მიეთითებინათ ადგილი, სადაც განხორციელდა ძალადობის ფაქტი. გამოიკვეთა, რომ ქუჩა და პარკი ამ მხრივ ყველაზე საშიში ადგილია 45,83% (N=22), რადგან ყველაზე მძიმე ინციდენტები სწორედ იქ ხდება. სახლი რიგით მეორე საშიში ადგილი აღმოჩნდა ძალადობის მხრივ 18,75% (N=9), მესამე ადგილზეა ბარი/კლუბი 14,58% (N=7). საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაფიქსირდა 4 ინციდენტი, 2 – მაღაზიებში, 4-ც სხვადასხვა ადგილზე.

დიაგრამა 13. პოლიციისათვის მიმართვიანობის პროცენტული მაჩვენებელი ფიზიკური ძალადობის შემთხვევებში (N=48)



იმ 48 რესპოდენტს, რომელიც ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა, ვთხოვეთ დაეზუსტებინათ მიმართეს თუ არა პოლიციას. შემოსხენებული 48 რესპოდენტიდან, 27,08% აღნიშნა, რომ პოლიციას შეატყობინა (N=13), მაშინ, როცა 72,92%-მა

(N=35) აღნიშნა, რომ ასე არ მოქცეულა. რაც შეეხება მიზეზებს, რის გამოც დაზარალებულებმა არ მიმართეს პოლიციას: 8 ადამიანმა განაცხადა, რომ მათი აზრით პოლიცია ასეთ შემთხვევებში არაეფექტურია, 11 რესპოდენტი პოლიციის ჰომოფობიურმა რეაქციამ დააფრთხო, მაშინ, როცა 10-მა არ ჩათვალა, რომ ინციდენტი საკმაოდ სერიოზული იყო, რათა პოლიციისათვის მიემართა. კითხვას არ უპასუხა 7-მა.

იმ ადამიანთა 46.15%, ვინც პოლიციას მიმართა, ინანა ასე რომ მოქცა იქიდან გამომდინარე, რომ პოლიციელები ჰომოფობიურად მოექცნენ. რესპოდენტთა 30%-ს პოლიციისგან მეგობრული მოპყრობა შეხვდა, ხოლო 23.08% განაცხადა, რომ მათ ნეიტრალურად მოექცნენ.

ფიზიკური ძალადობის შემთხვევების მიხედვით, გეი კაცები ამ მხრივ უფრო დიდი რისკ ფაქტორია (N=21), განსაკუთრებით, როგორც უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, თუკი ისინი მე-2 და მე-3 ასაკობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ბისექსუალი კაცები (N=11) და ლესბოსელი ქალები (N=9) შემდეგი რისკ ფაქტორია, ხოლო ბისექსუალი ქალები (N=4) და ადამიანები, რომლებსაც კითხვარში „სხვა“ აქვთ მონიშნული (N=3) ნაკლებ ფიზიკურ ძალადობას განიცდიან.


საერთო ჯამში, ფიზიკური ძალადობა დადებით თანაფარდობაშია განათლების ხარისხთან: რაც უფრო იზრდება განათლების ხარისხი, მით უფრო დიდია ალბათობა: ადამიანმა აღიაროს და განაცხადოს ძალადობის შემთხვევის შესახებ. ეს ადამიანები, როგორც ნესი, მაღალ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რაც უცილობლად არ აიხსნება იმით, რომ მათ ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო ხანგრძლივია და შესაბამისად, უფრო მეტ ძალადობრივ ფაქტს იტყვის. ჩვენ რესპოდენტებს მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარ ინციდენტებზე ვეკითხებოდით.

ფსიქოლოგიური ძალადობა

კითხვარის მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავდა შემდეგ ფორმებს: სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი კომენტარები, დაცინვა, ჭორების გავრცელება, მუქარა, შანტაჟი, სა-


კუთრების ქურდობა ან განზრახ დაზიანება, მუქარის ან სიძულვილის გამოხატველი წერილები/ მიწილები; ბოიკოტი – კონტაქტზე უარის თქმა, იძულებითი ქორწინება და სხვა.

დიაგრამა 14. ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების პროცენტული განაწილება ლგბ ჯგუფში (N=150)



კვლევამ აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება იმდენად გავრცელებულია, რომ ფიზიკური ძალადობის ფაქტები მასთან შედარებით იშვიათად ჩანს. რესპოდენტების 89.33%-მა (N=134) განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც განუცდია რაიმე სახის ფსიქოლოგიური ზეწოლა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო.

დიაგრამა 15. ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების სიხშირის პროცენტული განაწილება (N=134)




სამუალოდ, 134 რესპოდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური თავდასხმა განუცდია, 75.37% (N=101) მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 11.94%-ს ორჯერ, ხოლო 12.69%-ს ერთხელ. ამ მონაცემებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თუკი ადამიანი ერთხელ აღმოჩნდა მონყვლადი, მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლა არ ნყდება და ამ მოჯადოებულ

წრიდან თავის დაღწევას ცოტა თუ ახერხებს.

რესპოდენტები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ლესბოსელებად ახდენდენ 28 შემთხვევაში ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ. ასევე, ბისექსუალი ქალები 28 შემთხვევაში, ბისექსუალი კაცები 18 შემთხვევაში, გეები 48 შემთხვევაში. იმ რესპოდენტთაგან ვინც ორიენტაციის განსაზღვრისას მიუთითა „არ ვარ ჩამოყალიბებული“, 4 ერთხელ მაინც გამხდარა ფსიქოლოგიური მსხვერპლი. 9–დან 8 რესპოდენტს, ვინც ორიენტაციის გრაფაში „სხვა“ აღნიშნა, აქვს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება.


ყველა რესპოდენტიდან მხოლოდ 16-მა არ განგვიცხადა ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტების შესახებ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. ჯამში, 48 ადამიანს განუცდია ერთად: როგორც, ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა. ამ 48 რესპოდენტიდან 33 იყო კაცი და 15 ქალი.

დიაგრამა 16. ფსიქოლოგიური ძალადობის სიხშირე რესპოდენტთა სქესის მიხედვით (N=134)




134 რესპოდენტიდან, რომელმაც განაცხადა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, ორივე სქესის გამოცდილება საკმაოდ ახლო აღმოჩნდა ერთმანეთთან - 64 ქალი და 70 კაცი.

დიაგრამა 17. ფსიქოლოგიური ძალადობის სიხშირე რესპოდენტთა ორიენტაციის მიხედვით (N=134)



თუმცა, სექსუალური ორიენტაციის პერსპექტივიდან, მდგომარეობა ასეთი ერთგვაროვანი არ არის. კროსტაბულაციის ანალიზი აჩვენებს, რომ 150 გამოკითხული ლგბ ადამიანიდან ყველაზე დიდი სტრესის ქვეშ გეები იმყოფებიან 35,82% (N=48). მათგან გამოკითხულთა თითქმის მესამედს განუცდია ფსიქოლოგიური ზენოლა. მათ მოსდევნენ ლესბოსელი 20,9% (N=28) და ბისექსუალი ქალები 20,9% (N=28). ბისექსუალი კაცები 13,43% (N=18). რაც შეეხება ჯგუფებს, რომლებმაც სექსუალური ორიენტაციის გრაფაში მონიშნეს პასუხები „არ ვარ ჩამოყალიბებული“ N=7) და „სხვა“ N=9), ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები შემდეგნაირად გადანაწილდა: 4 და 8.

დიაგრამა 18. ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების პროცენტული განაწილება ფორმების მიხედვით (N=349)




ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა: 31,52%-მა (N=110) დაასახელა დამამცირებელი კომენტარები და დაცინვა, 24,36%-მა (N=85) დაასახელა სიტყვიერი შეურაცხყოფა, 21,20%-მა (N=74) ჭორების გავრცელება მათ შესახებ, 11,46%-ს (N=40) დაემუქრნენ, 7,74%-მა (N=27) ადამიანმა მიიღო სიძულვილის ენის შემცველი წერილი 2,1%-ს (N=7) შანტაჟის მსხვერპლი გახდა, 1,72%-ს (N=6) დაუზიანეს ქონება.

ჩვენ ასევე ვთხოვეთ რესპოდენტებს ეთქვათ რამდენად მიმართავენ პოლიციას, როდესაც ფსიქოლოგიური ძალადობის პირისპირ ხვდებიან. აღმოჩნდა, რომ როდესაც საქმე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში პოლიციისათვის დახმარების თხოვნას ეხება, გამოკითხულთა 1%-იც კი არ ენდობა პოლიციას ან სხვაგვარად არის დემოტივირებული რომ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართოს.

ფსიქოლოგიური თავდასხმების წყაროს წარმოადგენდნენ მეგობრები (N=61), კლასელები და ჯგუფელები (N=23), დედები (N=35), მეზობლები (N=23), თანამშრომლები (N=18). ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში წარმოდგენილი ადამიანები შემთხვევით არ აღმოჩნდნენ ფიზიკური მოძალადეები, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარემოებები, რომლებიც არ ხდის შესაძლებელს ფიზიკურ კონტაქტს, ან გარემოებები, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანებს შორის და ისეთ შეზღუდვებს აწესებს, როგორც არის დრო, ადამიანების ფიზიკური თავდასხმისაგან დასაცავად შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს. სანქციების შიში შეიძლება იყოს ერთ-ერთი ასხნა. მამები (N=19) და სხვა ოჯახის წევრები (N=28) ასევე სახელდებოდნენ, როგორც ფსიქოლოგიური სტრესის წყარო.

თუმცა, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წყარო ფსიქოლოგიური ძალადობისა, ის ჯგუფია, რომლის წარმომადგენლებსაც მსხვერპლები პირადად არ იცნობენ 31% (N=96). ეს გვეკარნახობს, რომ ლგბ ადამიანების ხანგრძლივი კონტაქტი მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან, საბოლოოდ მეტ მიმღებლობას იწვევს და ნაკლებ გაცხადებული ფსიქოლოგიური ძალადობის დონესაც განაპირობებს.

დიაგრამა 19. ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობრივი განაწილება ძალადობის განხორციელების ადგილის მიხედვით (N=335)




ისევე, როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინების ყველაზე უფრო გავრცელებული ადგილი ქუჩა/პარკი აღმოჩნდა (N=115). რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გამოკითხულთათვის უცნობი ადამიანების მხრიდან თავდასხმა სხვა რისკებთან შედარებით ყველაზე

დიდი რისკია. ეს ცხადყოფს იმას, თუ რამდენად დიდი პრობლემაა საჯარო უსაფრთხოება და საფრთხის შეგრძნება ლგბ ადამიანებისათვის ჩვენს სამიზნე ჯგუფში. ქუჩებთან ერთად, საჯარო ტრანსპორტი ასევე ის ადგილია, სადაც მოსალოდნელია ფსიქოლოგიური (N=32) და ფიზიკური თავდასხმა (N=5). ბარებს/კლუბებს ამ სიაში მესამე ადგილი უკავიათ, როგორც ფიზიკური ძალადობის მხრივ ყველაზე საშიშ (N=7) და ფსიქოლოგიური სტრესის გამომწვევ გარემოს (N=49).

ოჯახში ძალადობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია რესპოდენტებისთვის, ვინაიდან 41 ადამიანიმა განაცხადა, რომ მასზე სახლში ფსიქოლოგიური ძალადობა ხორციელდება (26 ქალი, 15 კაცი), ხოლო 11-მა განაცხადა, რომ მათზე სახლში ფიზიკური ძალადობა ხორციელდება (5 კაცი, 6 ქალი), ამდენივე ადამიანი (N=41) დაასახელა სამუშაო ადგილი და სასწავლებელი ადგილი, სადაც განუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა. რაც შეეხება კატეგორიას „სხვა“ (N=56), თითქმის ნახევარს (N=26) ინეტრნეტ-სივრცე შეადგენს.

სამუშაო ადგილი


დიაგრამა 20. დასაქმებულთა რაოდენობრივი განაწილება ასაკობრივ ჯგუფში (N=119)



ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოკითხულთაგან 79.33% (N=119) მუშაობდა, 20.67% (N=31) კი არსად უმუშავია. მათი რაოდენობა, ვისაც ბოლო ორი წლის მანძილზე უმუშავია შემდეგნაირად გადანაწილდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 16-18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ყველას აქვს სამუშაო გამოცდილება (N=7), 18-25 ასაკობრივ ჯგუფში 52 ინდივიდი იყო/არის

დასაქმებული, ოდნავ მეტი 59 რესპოდენტი მუშაობდა/მუშაობს 26-40 ასაკობრივ ჯგუფში და 1 ადამიანი რომელიც 60 წლის ზევით ჯგუფში მოხვდა, ასევე დასაქმებული იყო. საინტერესოა, რომ უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია 18-25 ასაკობრივ ჯგუფში (N=22) და საგრძნობლად იკლებს მომდევნო ჯგუფში (N=9). დასაქმების თვალსაზრისით შეინიშნება განსხვავება სქესის მიხედვითაც: დასაქმებულთა შორის 64 ქალია, 55 – მამაკაცი; დაუსაქმებელთა შორის კი 12 ქალია და 19 მამაკაცი.


დიაგრამა 21. დასაქმებულთა რაოდენობრივი განაწილება სქესის ჭრილში (N=119)



დასაქმებაზე უარი 18-25 ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ერთ პიროვნებას ეთქვა, 26-40 წლის ასაკობრივი ჯგუფებში კი – ექვსს. მათ შორის სამი ქალი იყო და ოთხი - კაცი. აღნიშნულ კატეგორიაში სამი გეი იყო. ოთხ მათგანს უმაღლესი, ხოლო სამს საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული; ერთ ბისექსუალ ქალს ჰომოფობიური მოტივით უთხრეს უარი დანიშნულებაზე. 18-25 ასაკობრივ ჯგუფს მიკუთვნებულმა ორმა პიროვნებამ და ოთხმა – 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში, იგივე მიზეზებით დაკარგა სამსახური: ორი მათგანი ლესბოსელი იყო, ორი გეი, ერთი ბისექსუალი კაცი და ერთი ლესბოსელი ქალი. ხუთი ინდივიდი, ოთხი ქალი და ერთი კაცი, გრძნობდა, რომ მათ მეტი უნდა ემუშავათ იმიტომ, რომ ისინი ლგბ ადამიანები იყვნენ ან სხვებს ეგონათ ასე. გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ისინი ზემოთ აღწერილი დისკრიმინაციის არცერთ ფორმას არ გადაწყდომიან (56 ქალი, 48 კაცი). ვერ ვიტყვი, რომ ქალები აცხადებდნენ, თითქოს ისინი უფრო ნაკლებად ზარალდებიან დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმებისაგან, ვიდრე კაცები. რაც მეტად გა-

ნათლებული იყო რესპოდენტი, მით ნაკლებად განიცდიდა დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე. თუმცა, მთლიანობაში რომელიმე კონკრეტული ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვან კორელაციაში იყო სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციასთან, არ გამოიკვეთა. ეს იმ ფაქტით აიხსნება, რომ მათი უმრავლესობა არათუ არ ამჟღავნებს ორიენტაციას სამსახურში, არამედ პრაქტიკულად „ჰეტეროსექსუალობას თამაშობს“.

დიაგრამა 22. დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ქამინ-აუთის ქრილში (N=119)



42.37% (N=50) ამბობს, რომ სამუშაო ადგილზე საკუთარ ორიენტაციას მაღავს, დანარჩენი 42.37% რომ შერჩევით ამხელს და მხოლოდ 15.25%-ა ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ყველა 18 წლამდე ინდივიდი მაღავს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას იმ ადგილებში, რომელსაც სამუშაო სივრცედ თვლიან. სამუშაო ადგილზე ორიენტაციას არ მაღავს 18-25 წლამდე მხოლოდ 10 ინდივიდი და 26-40 ასაკობრივ ჯგუფში 8 ინდივიდი.


განათლება, სამუშაო ადგილას ქამინ-აუთის დონეზე გავლენას ახდენდა. იმდენად, რამდენადაც უმაღლესი განათლების მქონე 27 და უფრო მაღალი ხარისხის მქონე 12 მონაწილე ნაწილობრივ მანაც გაცხადებულად ამჟღავნებდა საკუთარ ორიენტაციას. საშუალო სკოლის ატესტატის მფლობელები, სტუდენტები ან სხვა არასრული უმაღლესი განათლების მქონე მონაწილეები უფრო ხშირად მაღავდნენ საკუთარ იდენტობას. როგორც ჩანს, პროფესიული ზრდა პოზიტიურად მოქმედებს ადამიანის მიერ ქამინ-აუთის გაკეთების გადაწყვეტილებაზე. ნარსულში ფიზიკური ძალადობის გამოცდილება სამსახურში ქამინ-აუთის დონეზე ზეგავლენას არ ახდენს და საბოლოო ჯამში, ვერც განა-

თლების ხარისხით შევძლებთ ქამინ-აუთის დონის წინასწარმეტყველებას.

ჯანმრთელობა

6 ინდივიდი 18-25 ასაკობრივ ჯგუფში და 3 ინდივიდი 26-40 ასაკობრივ ჯგუფში ამბობს, რომ სამედიცინო პერსონალისგან განიცადეს დისკრიმინაცია. ასეთი გამოცდილება 18 წლამდე მონაწილეებს არ დაუფიქსირებიათ. თინეიჯერები იშვიათად მიმართავენ სამედიცინო სერვისებს დამოუკიდებლად. ისინი, სავარაუდოდ, ექიმთან მშობლების თანხლებით მიდიან. 18-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი პირები კი დამოუკიდებლად იყენებენ მსგავს სერვისებს. თუმცა ისინი ფინანსურად და სოციალურად სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არიან და ამიტომ სამედიცინო პერსონალის მხრიდან მათთვის მომსახურებაზე უარის თქმის მეტი ალბათობა არსებობს, ლგბ ჯგუფის წევრად ჩათვლის შემთხვევაში.

დიაგრამა 23. ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ლგბ ჯგუფში (N=150)



150 რესპოდენტიდან 12,67% (N=19) ამბობს, რომ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელი არ მიუწვდება, 26% (N=39) თვლის, რომ მისთვის ეს მომსახურება ხელმისაწვდომია, 61,33%-ს (N=92) კი პასუხი არა აქვს ამ შეკითხვაზე (ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რესპოდენტს არ დასჭირვებია სამედიცინო მომსახურება ბოლო ორი წლის მანძილზე).

18 წლამდე ასაკის მხოლოდ 1 რესპოდენტი ამბობს, რომ ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომია, 2 ამბობს რომ არა, 4 კი არ არის

დარწმუნებული. 18-25 ასაკობრივი ჯგუფის 25 წარმომადგენელი ამბობს, რომ შეუძლიათ ისარგებლონ ჯანმრთელობის სერვისებით, 4-ს არ აქვს ხელმისაწვდომობა. საინტერესოა, რომ 45 რესპოდენტს საერთოდ არ ჰქონდა პასუხი ამ შეკითხვაზე. 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 13-ს მიუწვდება ხელი და 13-ს არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობის სერვისებზე. ყველაზე დიდ ჯგუფს კი შეადგენდა 41 რესპოდენტი, რომელიც ვერ ახდენდა იმის განსაზღვრას ექნებოდათ თუ არა უსაფრთხო ჯანმრთელობის სერვისი საჭიროების შემთხვევაში. რესპოდენტებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილების შესახებ ვკითხეთ.


ყველა, ვინც აცხადებს, რომ სამედიცინო დახმარების ობიექტებში დისკრიმინაციას წააწყდა, ამბობს, რომ ეს ფსიქოლოგიური ტიპის ძალადობა იყო. ამგვარად, დისკრიმინაციის ყველა ობიექტი სულ მცირე მსგავსი ტიპის დისკრიმინაციას გადაწყდომია სამედიცინო ობიექტებში. ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლთაგან მხოლოდ 35 (სულ 134) ამბობს, რომ სამედიცინო დახმარების სერვისებზე ხელი მიუწვდება. 18 აცხადებს, რომ მსგავსი სერვისები მათთვის რთულად ხელმისაწვდომია და 80-ს შეკითხვაზე პასუხი არ აქვს.

მომსახურება

150–დან 62 რესპოდენტს აქვს დისკრიმინაციის გამოცდილება მომსახურების სფეროში (37 რესპოდენტს დისკრიმინაცია არ განუცდია, ხოლო 50 რესპოდენტს პასუხი არ აქვს) ეს მაჩვენებელი თანაბრად არის გადანაწილებული თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.


დიაგრამა 24. მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილებათა პროცენტული მაჩვენებელი სექსუალური ორიენტაციის მიხედვით (N=62)

კვლევამ აჩვენა, რომ მომსახურების სფეროში ყველაზე მეტად გვი კაცები განიცდიან დისკრიმინაციას 32,26% (N=20), შემდეგ მოდის ლესბოსელ ქალთა ჯგუფი 25,81% (N=16). რაც შეეხება



ბისექსუალ ქალებსა 17,74% (N=11) და მამაკაცებს 14,52% (N=9), მათ შორის განსხვავება პრაქტიკულად არაა. მათ შორის ვინც ორიენტაციის გრაფაში პასუხი „სხვა“ მონიშნა 6,4%-ს (N=4) აღნიშნა, აქვს ამგვარი გამოცდილება მომსახურების სფეროში. მათ, ვინც ვერ არ არის ჩამოყალიბებული მხოლოდ 2 შემთხვევა დააფიქსირეს, რაც 3,33%-ია.

დიაგრამა 25. მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილებათა პროცენტული მაჩვენებელი ადგილის მიხედვით (N=104)



კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტ ქომუნითის წევრები მომსახურების სფეროში დისკრიმინაციას ყველაზე ხშირად საზოგადოებრივ ტრანსპორტში აწყდებიან 44,23% (N=49). სინშირის თვალსაზრისით, მომდევნო ადგილზე ბარები/კლუბები 27,88% (N=29) და მაღაზიებია 20,19% (N=21). იშვიათია დისკრიმინაციის გამოცდილება სახელმწიფო ინსტიტუტებში 4,81% (N=5). გასაკვირი არაა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობისა და მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილების მქონე ინდივიდები ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ. ფსიქოლოგიური ძალადობის 61 მსხვერპლი შედის იმ 62 ინდივიდში, რომელმაც დისკრიმინაცია მომსახურების სფეროში განიცადა. იმათ, ვისაც ფსიქოლოგიური ძალადობა არ განუცდიათ, მომსახურების

სფეროში დისკრიმინაციის გამოცდილების სამჯერ ნაკლები მაჩვენებელი აქვთ (28>9 ratio). მაგალითად, ბარში დისკრიმინაცია 29 ადამიანმა გამოსცადა და 28 მათგანმა განცალკევებით განაცხადა, რომ იმავე პერიოდში ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო. ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ამბობს, რომ მომსახურების სფეროში განცდილი 62 დისკრიმინაციის შემთხვევიდან, 30 მონაწილეს ჰქონდა სხვა ფიზიკური ძალადობის გამოცდილებაც და 32-ს კი მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია. ეს გვაფიქრებინებს, რომ მომსახურების სფერო ფსიქოლოგიური და არა ფიზიკური დისკრიმინაციის მთავარი წყაროა და შესაძლოა მსხვერპლთა გამოცდილება მომავალშიც გაამწვავოს.

მიუხედავად იმისა, რომ ბარში დისკრიმინაცია იმთავითვე ფიზიკური ძალადობას არ გულისხმობს, 29 რესპოდენტიდან, ვინც ბარში დისკრიმინაციაზე ისაუბრა, 11-ს ფიზიკური ძალადობის გამოცდილებაც ჰქონდა. რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურებში დისკრიმინაციას, მისი მონაცემები არც ადასტურებს და არც უარყოფს იმ ადამიანებს შორის თანაფარდობის არსებობას, ვინც ამავე გასული 2 წლის განმავლობაში ფიზიკურ შეურაცხყოფა განიცადა (N=21 მთლიანობაში, 11 მსხვერპლი და 10 არა მსხვერპლი).

რელიგია

150 რესპოდენტიდან, მხოლოდ 28-მ აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია რელიგიურ ინსტიტუციებში განიცადეს (N=3, N=11 და N=14 შესაბამისად

პირველ სამ ასაკობრივ ჯგუფში). მონაწილეთა უმრავლესობას ეკლესიასთან შეხება არ აქვს და შესაბამისად, მათ კითხვაზე პასუხი არ გაუციათ (N=112). მათ შორის არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის ან ორიენტაციის ჯგუფების თვალსაზრისით: ეკლესიაში დისკრიმინაციულ გამოცდილებაზე საუბრობს 9 გეი კაცი, 8 ბისექსუალი ქალი, 6 ლესბოსელი, 2 ბისექსუალი კაცი, 1 მონაწილე, რომელსაც ორიენტაცია ბოლომდე განსაზღვრული არ აქვს და 2 „სხვა“. თუკი გავითვალისწინებთ არადისკრიმინაციულ შემთხვევებსაც, დისკრიმინაციის არარსებობაში სულ 5 გეი კაცი იყო დარწმუნებული, რაც შეიძლება კვლევაში გეი მამაკაცების შედარებით დიდი რაოდენობით აიხსნას. უკვე შემჩნეული სურათის მსგავსად, რაც უფრო განათლებულია რესპოდენტი, მით მეტად აღიქვამს დისკრიმინაციას (22 უმაღლესი განათლებით vs. 6 საშუალო განათლებით და 2 არასრული უმაღლესი განათლებით).²

ოჯახი

რესპოდენტებს მათ ოჯახებში ქამინ-აუთისა და ურთიერთობის სტატუსის შესახებაც ვკითხეთ. გვსურდა გაგვეგო, თუ რამდენმა გააკეთა ქამინ-აუთი მშობლებთან, და-ძმასთან და სხვა ახლო ნათესავებთან ოჯახში. ასევე გვაინტერესებდა, რამდენად ნებაყოფლობითი იყო ეს შემთხვევები.

2 იქედან გამომდინარე, რომ რესპოდენტებს სხვა რელიგიურ ინსტიტუციებთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდათ, კვლევაში მხოლოდ ეკლესიაზე საუბარი

ცხრილი 1. ოჯახის რომელმა წევრმა იცის თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ

დასახელება	რაოდენობა	%
დედა	52	34.67%
მამა	19	12.67%
ძმა	19	12.67%
და	31	20.67%
ბებია, ბაბუა	9	6.00%
ბავშვები	1	0.67%
დეიდა	12	8.00%
ბიძა	11	7.33%
ბიძაშვილები	46	30.67%
არავინ	54	36.00%
სხვა	6	4.00%

ცხრილი 2. ვისგან გაიგეს თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და როგორია მათი განწყობა

დასახელება	ნებაყოფილობითი ქამინ-აუთი		იძულებითი ქამინ-აუთი		დადებითად არის განწყობილი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
დედა	29	55.77%	23	44.23%	14	26.92%
მამა	5	26.32%	14	73.68%	3	15.79%
ძმა	9	47.37%	10	52.63%	5	26.32%
და	22	70.97%	9	29.03%	18	58.06%
ბებია, ბაბუა	1	11.11%	8	88.89%	2	22.22%
ბავშვები	1	100.00%	0	0.00%	1	100.00%
დეიდა	5	41.67%	7	58.33%	5	41.67%
ბიძა	4	36.36%	7	63.64%	4	36.36%
ბიძაშვილები	34	73.91%	12	26.09%	25	54.35%
სხვა	0	0.00%	6	100.00%	0	0.00%

კვლევის მონაწილეთა 34,67% (N=52) ამბობს, რომ დედასთან გამჟღავნებული აქვს საკუთარი იდენტობა, ამათგან ნახევარზე მეტი 55,77% შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით ქამინ-აუთს. ამ 52 რესპოდენტთაგან, 26,92% ფიქრობს, რომ დედა პოზიტიურადაა განწყობილი მათი სექსუალური ორიენტაციის მიმართ. დედასთან გამჟღავნებული იდენტობის მქონე მონაწილეთაგან, 30 ინდივიდი 26-40 ასაკობრივ ჯგუფშია, 21 მათგანი – 18-25 ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და 1 ადამიანი 18 წელს ქვემოთაა.

გამოვლინდა, რომ გვი კაცები ძირითადად დედებთან აკეთებენ ქამინ-აუთს (N=17), შემდეგ მოდის ბისექსუალი ქალები (N=12) და ლესბოსელი ქალები (N=11), ბისექსუალი კაცები (N=6) და ისინი, ვინც თავს არც ერთ სექსუალურ ორიენტაციასთან არ აიგივებენ (N=4).

ჰომოსექსუალური ორიენტაციის მიმართ დედის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების ტენდენცია არც ერთ ჯგუფში არ გამოვლენილა. ამ საკითხში გეები უფრო თავდაჯერებულნი ჩანდნენ (N=7) მაგრამ ეს მიმდებლობის მაღალ დონესთან დაკავშირებული არ არის. ეს ტენდენცია საკვლევ ჯგუფში გვი მამაკაცების მაღალი ოდენობით აიხსნება.

მამებთან ქამინ-აუთი 12,67%-მა (N=19) გააკეთა. აქედან მხოლოდ 26,32%-ს ჰქონდა მამასთან ნებაყოფლობითი ქამინ-აუთი. 73,68%-ს კი იძულებითი ქამინ-აუთი ჰქონდა. 15,8% ამბობს, რომ მამა პოზიტიურად აღიქვამს მათ ორიენტაციას. საკუთარი იდენტობა 9 გვი კაცს და 5


ბისექსუალ ქალს, 5 ლესბოსელ ქალს ჰქონდა გამჟღავნებული მამასთან, აქედან 3 ლესბოსელმა და 4 გვი კაცმა თავისი ნებით გაუმჟღავნა მამას სექსუალური ორიენტაციის შესახებ. 6 კაცს და 6 ქალს კი იძულებითი ქამინ-აუთი ჰქონდა, პოზიტიურ დამოკიდებულებების გათვალისწინებით, ყველა ქვეჯგუფს მსგავსი გამოცდილება აქვს: მხოლოდ 3 ინდივიდმა იგრძნო, რომ მამამ მათი სექსუალური ორიენტაცია მიიღო. ძმასთან მონაწილეთა 12,67%-ს აქვს გამჟღავნებული იდენტობა, აქედან, 14 ინდივიდი 26-40 ასაკობრივ ჯგუფში, 4 ინდივიდი 18-25 ასაკობრივ ჯგუფში და 1 ინდივიდი 18 წელს ქვემოთ. 19-დან 10 ინდივიდს ძმასთან იძულებითი ქამინ-აუთის შემთხვევა ჰქონდა და მხოლოდ 26,32% ფიქრობს, რომ ძმებმა პოზიტიურად აღიქვეს მათი სექსუალური ორიენტაცია. ქალებთან ნებაყოფლობითი ქამინ-აუთის უფრო მაღალი ალბათობა გვხვდებოდა (N=6 ქალებისთვის vs. N=3 კაცებისთვის), თუმცა ასევე ხშირად შეიმჩნეოდა იძულებითი ქამინ-აუთის შემთხვევებიც (N=6). მხოლოდ 3 ბისექსუალი ქალი და 2 გვი კაცი ამბობდა, რომ მათ ძმებს პოზიტიური რეაქცია ჰქონდათ მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

დასთან ქამინ-აუთი მონაწილეთა 20,67%-მა გააკეთა (N=31), აქედან 71% ნებაყოფლობითი, ხოლო 29% იძულებითი იყო. რესპოდენტთა 58,06%-მა იგრძნო მათი სექსუალური ორიენტაციის მიმართ მიმდებლობა. 31-დან 12 ინდივიდმა თავისი ნებით განახორციელა ქამინ-აუთი და აქედან 9 რესპოდენტი 25 წლამდე იყო.

იძულებითი ქამინ-აუთი ახალგაზრდებში უფრო ხშირია: 6 ინდივიდი. მიმღებლობის თვალსაზრისით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით მსგავსი მიმღებლობის დონე შეინიშნა.


შედეგების მიხედვით, დედის შემდეგ, ოჯახის წევრთა/ნათესავთა ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელმაც იცის რესპოდენტის სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ბიძაშვილები არიან – 30,67%-ს (N=46). ამათგან 73,91%-ში ნებაყოფლობითი ქამინ-აუთის შემთხვევა გვხვდება (N=34), 26,09%-ში კი – იძულებითის (N=12). რესპოდენტთა 54,35% ფიქრობს, რომ ბიძაშვილს დადებითი რეაქცია აქვს მისი ორიენტაციის მიმართ. ბიძაშვილთან ქამინ-აუთის თვალსაზრისით ყველა ასაკობრივ ჯგუფს მსგავსი გამოცდილება აქვს, ასეთივეა იძულებითი ქამინ-აუთის სტატისტიკის შედეგიც.

დიაგრამა 26. ქამინ-აუთის პროცენტული მაჩვენებელი ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან (N=150)



მთლიანობაში, მონაწილეთა 34,67%-ს აქვს გაკეთებული ქამინ-აუთი დედასთან, 30,67%-ს ბიძაშვილებთან, 20,67%-ს დებთან, 12,67%-ს მამასთან, 12,67%-ს ძმებთან, 8%-ს დედასთან, 7,33%-ს ბიძასთან, 6%-ს ბებია-ბაბუასთან თან და მხოლოდ 0,67%-ს ბავშვებთან (1 ადამიანი). გამოკითხულთა მესამედზე მეტი 36% (N=54) ამბობს, რომ საკუთარი სექსუალური ორიენტაცია მთლიანად დამალული აქვს ოჯახისა და ნათესავებისგან. იმ შემთხვევებს შორის, ვინც პასუხად „სხვა“ არჩია (N=6), ძირითადად ყოფილი მეუღლეები არიან და ქამინგ-აუთის იძულებითი ფორმა ჰქონდა კაცები უფრო მალავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას (N=29) ვიდრე ქალები (N=25).

დიაგრამა 27. ზენოლის შემთხვევები ოჯახის წევრთა/ნათესავების მხრიდან (N=150)



რესპოდენტებს ვკითხეთ, განიცდიდნენ თუ არა ზენოლას ოჯახის წევრების მხრიდან. მაგ. იძულებითი ქორწინება ან ზენოლა იმის გამო, რომ არ თხოვდები/ცოლი არ მოგყავს; კრიტიკა ჩაცმულობის, ქცევის, ცხოვრების წესის გამო; კონტაქტის აკრძალვა მეგობრებთან/ნათესავებთან; იზოლაცია სახლში; ეკონომიკური ზენოლა; სხვა. (კითხვარი საშუალებას იძლეოდა მოენიშნა ზენოლის რამდენიმე ფორმა ერთდროულად).

გამოკითხულთა 56% (N=84) ერთხელ მაინც გამხდარა ოჯახის წევრთა/ნათესავთა მხრიდან ზენოლის მსხვერპლი. ზენოლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა კრიტიკა ჩაცმულობის, ქცევის, ცხოვრების წესის გამო - 48,67% (N=73). გამოკითხულთა 26% (N=39) ამბობს, რომ ის ძალით დააქორწინეს, ან განიცდიდნენ ზენოლას იმის გამო, რომ არ არიან დაქორწინებულნი. რესპოდენტთა თითქმის მეტუთედს, 18%-ს (N=27) უკრძალავენ მეგობართან კონტაქტს. 7,33% (N=11) სახლში იძულებით იზოლაციას განიცდიდა და 7,33%-ს (N=11) ოჯახის მხრიდან ეკონომიკური ზენოლის გამოცდილება ჰქონდა. სხვა სახის ზენოლა – 2% (N=3). ასაკობრივმა ჯგუფებმა მონაცემებში სხვაობა არ მოგვცა, მაგრამ სხვაობაა ბიოლოგიური სქესის ჯგუფებს შორის (48 ქალი, 36 კაცი). ორიენტაციის მიხედვით, ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები უფრო მეტად განიცდიან ფსიქოლოგიურ ზენოლის მათი ოჯახების მხრიდან, ვიდრე კაცები (N=40 ჯამში, 21 ლესბოსელი და 19 ბისექსუალი ქალი). კაცებს შორის მსგავს ზენოლას გეები (N=19) უფრო განიცდიან. ასეთივე ზენოლა შეინიშნება 5 რესპოდენტთან, ვისაც არ სურს თავი რომელიმე სექსუალურ ორიენტაციასთან გააიგივოს და 7 „სხვა“.

სოციალური დამოკიდებულებები

საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის წევრთა მიმართ

კვლევის ერთ-ერთი მიზანია განსაზღვროს, თუ

როგორ აღიქვამენ ლგბტ თემის წევრები საკუთარ თავს საზოგადოებაში. რესპოდენტებს ჰკითხეს, თუ როგორია საზოგადოების მხრიდან ლგბტ ინდივიდების მიმართ ზოგადი დამოკიდებულება.

ცხრილი 3. საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის წევრებთან

დასახელება	ლბ ქალების მიმართ		გბ კაცების მიმართ		ტრანსგენდერების მიმართ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
პოზიტიური	2	1.33%	0	0.00%	0	0.00%
უფრო პოზიტიური, ვიდრე ნეგატიური	12	8.00%	1	0.67%	5	3.33%
უფრო ნეგატიური ვიდრე პოზიტიური	39	26.00%	17	11.33%	13	8.67%
ნეგატიური	91	60.67%	130	86.67%	126	84.00%
არ ვიცი	6	4.00%	2	1.33%	6	4.00%

რესპოდენტთა 60.67 % თვლის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების მიმართ ნეგატიურია, 26%-ს ფიქრობს, რომ დამოკიდებულება ნაწილობრივ ნეგატიურია, 8% ფიქრობს, რომ დამოკიდებულება უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური. გამოკითხულთა მხოლოდ 1,33% მიიჩნევს, რომ დამოკიდებულება პოზიტიურია, 4%-მა კი არ იცის. რაც შეეხება გეი/ბისექსუალ კაცებს, გამოკითხულთა 86,67% თვლის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება გეი და ბისექსუალი კაცების

მიმართ ნეგატიურია, 11,33% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ ნეგატიურია, მხოლოდ 0,67% ანუ 1 რესპოდენტი თვლის, რომ საზოგადოება ნაწილობრივ პოზიტიურადაა განწყობილი გეი და ბისექსუალი კაცების მიმართ, 2-ს კი პასუხი არ აქვს. გამოკითხულთა 84,84%-ს მიიჩნევს, რომ საზოგადოება ნეგატიურადაა განწყობილი ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, 8,67 % ფიქრობს რომ დამოკიდებულება ნაწილობრივ ნეგატიურია, 3,33%-ს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ პოზიტიურია, ხოლო 4% არ არის დარწმუნებული.

ცხრილი 4. საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება ლბ ქალების მიმართ რესპოდენტთა სქესის მიხედვით

დასახელება	ქალი		კაცი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
პოზიტიური	0	0.0%	2	1.3%
უფრო პოზიტიური, ვიდრე ნეგატიური	4	2.7%	8	5.3%
უფრო ნეგატიური, ვიდრე პოზიტიური	16	10.7%	23	15.3%
ნეგატიური	53	35.3%	38	25.3%
არ ვიცი	3	2.0%	3	2.0%

მხოლოდ 4 ქალი (N=76 მთლიანობაში, ვინც პასუხი გასცა ამ კითხვას) თვლის, რომ მათ, ასე თუ ისე, პატივს სცემენ საზოგადოებაში, 53-მა აღნიშნა ნეგატიური პასუხი, 16 რესპოდენტი კი ამბობს, რომ მათ პატივს ნაწილობრივ სცემენ. 38 კაცი ფიქრობს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ლბ ქალების მიმართ ნეგატიურია,

23 თვლის, რომ ნაწილობრივ პატივს სცემენ, ხოლო 8 ფიქრობს, რომ ლბ ქალების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური, 2 კაცი კი მიიჩნევს, რომ საზოგადოება პოზიტიურად ეკიდება ლბ ქალებს. ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადად გბ კაცებს მწირი ცოდნა აქვთ

იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ ლბ ქალები საზოგადოების მათდამი დამოკიდებულების თვალსაზრისით და გაცილებით პოზიტიურად წარმოუდგენიათ სიტუაცია, ვიდრე თავად ამ ქალებს. ეს შეიძლება შიდა-ჯგუფური კომუნიკაციის შედარებით დაბალი დონით ან გბ კაცების დაბალი მგრძობელობით აიხსნას ლბ ქალების პრობლემების მიმართ საზოგადოებაში.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ გბ კაცებს პოზიტიური ხედვა აქვთ ლბ ქალების გამოცდილების მიმართ ის არის, რომ ზოგადად, ამ ქალების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. სხვა სიტუაციაა, როცა გბ კაცებზეა საუბარი. ფაქტობრივად მეტ ქალს მიაჩნია, რომ გბ კაცებს პატივს არ სცემენ საზოგადოებაში, ვიდრე თვითონ გბ კაცებს.

ცხრილი 5. საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება გბ კაცების მიმართ რესპოდენტთა სქესის მიხედვით

დასახელება	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
პოზიტიური	0	0.0%	0	0.0%
უფრო პოზიტიური, ვიდრე ნეგატიური	0	0.0%	1	1.4%
უფრო ნეგატიური, ვიდრე პოზიტიური	7	9.2%	10	13.5%
ნეგატიური	67	88.2%	63	85.1%
არ ვიცი	2	2.6%	0	0.0%

76-იდან 67 ქალი ამბობს, რომ გბ კაცებს პატივს არ სცემენ, მაშინ, როცა 74-იდან მხოლოდ 63 გბ კაცი უთითებს ამ პასუხს. 10 კაცი ამბობს, რომ სავარაუდოდ საზოგადოებაში გბ კაცებს პატივს არ სცემენ, მაშინ, როცა მხოლოდ 7 ქალი ყოყ-

მანობს ამ საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ 1 კაცი ამბობს, რომ გბ კაცების მიმართ მეტწილად პატივისცემით არიან განწყობილნი. არც ერთი ქალის პასუხი არ ემთხვევა ამ მოსაზრებას გბ კაცებთან და ლბ ქალებთან მიმართებაში.

ცხრილი 6. საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება ტრანსგენდერთა მიმართ რესპოდენტთა სქესის მიხედვით

დასახელება	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
პოზიტიური	0	0.0%	0	0.0%
უფრო პოზიტიური, ვიდრე ნეგატიური	0	0.0%	5	6.8%
უფრო ნეგატიური, ვიდრე პოზიტიური	5	6.6%	8	10.8%
ნეგატიური	69	90.8%	57	77.0%
არ ვიცი	2	2.6%	4	5.4%

69 ქალი და 57 კაცი ამბობს, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს საერთოდ არ სცემენ პატივს საზოგადოებაში, 4 კაცი და 2 ქალი არ არის დარწმუნებული, 8 კაცი და 5 ქალი ამბობს, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს უფრო უპატივცემულოდ ეპყრობიან ვიდრე პატივისცემით. არც ერთი ქალი და 5 კაცი თვლის, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს პატივისცემით

ეპყრობიან. ეს კვლავაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალები ზოგადად უფრო გათვითცნობიერებულნი არიან როგორც საკუთარი, ასევე სხვა ჯგუფების მდგომარეობის შესახებ. ისინი უფრო ნეგატიურ მოლოდინებს ამჟღავნებენ მათდამი საზოგადოების დამოკიდებულების შეფასებისას, რაც ან ინფორმირებულობის უფრო მაღალი დონიდან გამომდინარეობს,

ან სოციალურ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით სხვა ჯგუფების გამოცდილების შესახებ გაზვიადებული შეხედულების შედეგია, კაცები, ზოგადად, მიდრეკილნი არიან ქალთა მიმართ სოციალური ზენოლის არასათანადო შეფასებისკენ და დაბალ ინფორმირებულობას ავლენენ იმის შესახებ, თუ როგორი გამოცდილება აქვთ სოციალურ დამოკიდებულებებთან მიმართებაში ქალებს და ტრანსგენდერ ადამიანებს.

განათლება პოზიტიურ კორელაციაშია ინფორმირებულობის დონესთან. რაც უფრო განათლებულია რესპოდენტი, უფრო გათვითცნობიერებული ჩანს ლბ და გბ ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების საკითხში. განათლების კორელაციის დონე საკმაოდ მაღალია (P.328 და Sign.000). განსაკუთრებულად დაბალია ინფორმირებულობის ხარისხი ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებაში, მაგრამ ნიშანდობლივი კორელაცია არ შეინიშნება.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლის გამოცდილების ფაქტორი ძლიერ კავშირში იყო,

მაგრამ წინასწარ არ განსაზღვრავდა შედეგებს სოციალურ დამოკიდებულებების მაჩვენებლებთან დაკავშირებით. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ გამოცდილებაში ფიზიკური ძალადობის არარსებობა ნეგატიურ კორელაციას ქმნის ინდივიდის წარმოდგენასთან იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ტრანსგენდერი ადამიანების ჯგუფის მიმართ საზოგადოებას. ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი, როგორც ჩანს უფრო გათვითცნობიერებულნი არიან ლბ ქალთა და ტრანსგენდერ ადამიანთა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ნაკლებად იცნობენ გბ კაცთა მდგომარეობას.

მოქმედება რათა თავიდან ავიცილოთ ძალადობისა და შევიწროების ფაქტები

რესპოდენტებს ასევე ვკითხეთ, მოუხდათ თუ არა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პარტნიორის მიმართ თავიანთი გრძნობების დამალვა ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალადობის შიშს გამო.

ცხრილი 7. რამდენად ლიად გამოხატავენ გრძნობებს პარტნიორის მიმართ საჯარო თავშეყრის ადგილებში

დასახელება	ლესბოსელი	ბისექსუალი ქალი	ბისექსუალი კაცი	გეი	არ არის ჩამოყალიბებული	სხვა	სულ	
	N	N	N	N	N	N	N	%
ყოველთვის	13	9	10	35	1	3	71	47.33%
ხანდახან	18	15	5	9	5	4	56	37.33%
არასდროს	1	4	2	2	1	0	10	6.67%
არ მყავს პარტნიორი	2	4	2	3	0	2	13	8.67%

მთლიანობაში 47.33% ყოველთვის გაურბის გრძნობების საჯაროდ გამოხატვას, 37.33% ზოგჯერ იქცევა ასე, მხოლოდ 6.67% არ მალავს, ხოლო 8,67%-ს პარტნიორი არ ჰყვლია და მსგავსი საჭიროება არ უგრძნია. საზოგადოდ გრძნობების გამომჟღავნებას ყველაზე მეტად გეი კაცები გაურბიან (N=35). 9

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ გაურბის გრძნობების გამომჟღავნებას და მხოლოდ 2 გეი კაცი აღნიშნავს, რომ შეუძლიათ ხელიხელჩაკიდებულად სიარული და პარტნიორის საჯაროდ კოცნა. 10 ბისექსუალი კაცი ყოველთვის მალავს, 5 ნაწილობრივ მალავს და 2 საერთოდ არ მალავს ემოციას.

საკუთარ სასიყვარულო ემოციებს ყოველთვის მალავს 13 ლესბოსელი და 9 ბისექსუალი ქალი, 15 ბისექსუალი და 18 ლესბოსელი ქალი ნან-ილობრივ მალავს და 4 ბისექსუალი ქალი და 1 ლესბოსელი ქალი არ ცდილობს დამალოს.

რაც შეეხება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გავლენას რესპოდენტთა ლიაობაზე, მათგან, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ფიზიკური ძალადობის გამოცდილება (N=48), 25 ყოველთვის მალავს, 15 – ხანდახან, 6 – არ მალავს, 2-ს კი პარტნიორი არ ჰყავს. რაც შეეხება ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილებას: 134-დან 65 ყოველთვის მალავს, 50 ხანდახან, 8 არ მალავს, 11-ს კი არ ჰყავს პარტნიორი.

ԽՅԿԱՆՈՒՄՆԵՐՆԵՐ

TERMINOLOGY

ბისექსუალი – ადამიანი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენელი იზიდავს.

ბი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

ბენდარი – სოციალურად კონსტრუირებული კონცეფცია, ან გარკვეული ქცევების, ნიშნებისა და როლების სოციალური კლასიფიკაცია „ფემინურ“ და „მასკულინურ“ ჯგუფებად.

ბენდარული არაკონფორმულობა და ბენდარული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებთან“ და „შესაბამისობებთან“.

ბენდარული (თვით)გამოსატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებაში, და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალურ ორიენტაციის ან გენდერულ იდენტობის ინდიკატორი.

ბენდარული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს (მასკულინურ ან ფემინურ სოციალურ კონსტრუქტს). პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგ შემთხვევაში კი, მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს, ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქედან გამომდინარე რომ გენდერული იდენტობა შინაგანი, ინტერნალური მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

ინტერსექსუალი – ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს – მამაკაცი და ქალი. ინტერსექსუალობა არ თავსდება მხოლოდ ქალის ან მხოლოდ მამაკაცის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონალურ, ასევე გენიტალურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება დაბადებისთანავე შესამჩნევი იყოს ან მოგვიანებით განვითარდეს.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტ – აბრ. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი.

სქესი – სხეულის კლასიფიკაცია მამაკაცის ან ქალის ჯგუფებში. დაბადებისას ახალშობილს მისი ბიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით ქალის ან მამაკაცის სქესს მიაკუთვნებენ. მახასიათებლებში იგულისხმება: ქრომოსომები, ჰორმონები, შინაგანი რეპროდუქციული ორგანოები და გენიტალიები.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეი ან ბისექსუალები.

ჰომოსექსუალი – ადამიანი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მისივე სქესის წარმომადგენელი.

ჰომოფობია – ირაციონალური შიში ან სიძულვილი ჰომოსექსუალობის ან იმ ხალხის მიმართ ვინც არის (ან ჰგონია რომ არის) ჰომოსექსუალი. ანალოგიურად ბიფობია აღნიშნავს ირაციონალურ შიშს ან სიძულვილს ბისექსუალობის მიმართ, ხოლო ტრანსფობია ირაციონალურ შიშს ან სიძულვილს ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ. ეს ფობიები გამოიხატება შეურაცხოფაში, ცრურწმენებსა და ნეგატიურ დამოკიდებულებებში, რაც ხშირად ძალადობასა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს იღებს.

„ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი“ (WISG) წარმოადგენს ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც ჰომოფობიის საკითხებზე მუშაობა 2002 წელს დაიწყო. 2003 წლიდან ორგანიზაცია მუშაობს ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევაზე ქართულენოვან მედიაში. 2005 წლიდან WISG-ის ქალთა უფლებების პროგრამა ფოკუსირებულია ლგბტ ქალების გაძლიერებაზე საქართველოში.

Women's Initiatives Supporting Group (WISG) is a non-governmental organization working on women's rights in Georgia. WISG started to work on the issue of homophobia in 2002. Since 2003 WISG has been working on research and analysis of homophobic hate speech in Georgian media. Since 2005 WISG women's rights program has been focusing on LBT women's empowerment in Georgia.

A 1 Apt., 12A Bakhtioni str., Tbilisi 0194 Georgia

T (995 32) 238-01-03

E info@women.ge

W www.women.ge www.lesbi.org.ge www.minority.ge

